

აბორიგენი ლათინური წარმოშობის საერთაშორისო სიტყვაა (ab origine — დასაბამიდან, თავიდან; aborigenes — თავდაპირველი). ასე იწოდებოდა ლათინელებით დასახლებული მხარის — ლაციუმის უძველესი მოსახლეობა. შემდგომ ამ სიტყვამ გაიფართოვა მნიშვნელობა და კონკრეტული ძველი სატომო სახელიდან გადაიქცა ამა თუ იმ ქვეყნის, მხარის ადგილობრივი, მკვიდრი, მუდმივი მოსახლეობის ზოგად სახელად.

სიტყვა **აბორიგენი**, ჩვეულებრივ, იხმარება ავსტრალიის ადგილობრივ ტომთა, აგრეთვე ამერიკელ ინდიელთა და სხვ. მიმართ. ეს სახელი უპირატესად გამოიყენება ამა თუ იმ ტერიტორიაზე გვიან მოსულ, ძირითადად ევროპული ცივილიზაციის მქონე ხალხთან (ზოგჯერ — სპეციფიკურად — კოლონიზატორებთან) ადგილობრივი, მკვიდრი მოსახლეობის დასაპირისპირებლად: „ევროპელთა მიერ ავსტრალიის კოლონიზაციამდე (XVIII ს.) მთელ კონტინენტზე ცხოვრობდა **აბორიგენთა** 500-ზე მეტი ტომი“ (ქსე); „ავსტრალიის კავშირის ხელოვნება აღმოცენდა... **აბორიგენების** პირველყოფილ კულტურასა და კოლონიზატორების მიერ შემოტანილ ევროპულ კულტურაზე“ (ქსე).

აბორიგენ-ისაგან ნაწარმოები ზედსართავი ფორმა **აბორიგენული** იხმარება აგრეთვე საქონლის ადგილობრივი ჯიშის აღსანიშნავად.

ვინაიდან სიტყვა **აბორიგენში** ერთდროულად გათვალისწინებულია სათანადო მსაზღვრელის შინაარსიც (ადგილობრივი, მკვიდრი, მუდმივი) და საზღვრულისაც (მცხოვრები, მოსახლე), ამ სიტყვის განვრცობა შესაბამისი სემანტიკის მსაზღვრელით იძლევა გაუმართლებელ ტავტოლოგიურ შესიტყვებას, როგორცაა **ადგილობრივი აბორიგენი, მკვიდრი აბორიგენი** და მისთ. მაგ.: „კინალამ მათს უკუღმართი ბედი გაიზიარეს ინგლისელ კოლონიზატორებთან ბრძოლაში აქაურმა **მკვიდრმა** [ზედმეტია!] **აბორიგენებმა**, მამაცმა და ამაყმა მათრებმა“ („თბილ.“). გამართლებული არ არის აგრეთვე **აბორიგენთან** ამავე ცნებით ნაგულისხმებ მსაზღვრელთა (მცხოვრები, მოსახლე) ხმარება: „მცირე ხალხთა ეს ბედი გაიზიარეს მათრებმაც — „დედამიწის კიდესი“ **მცხოვრებმა აბორიგენებმა**“ („თბილ.“).

მაგრამ ტაეტოლოგიური გამოთქმების გაცხრილვისას, გარდა ზედმეტი მიმღობის ამოღებისა, ხშირად აუცილებელი ხდება სხვაგვარი გამარტივებაც, სახელდობრ: თუ წინადადებაში -ში ან -ზე თანდებულისანი გეოგრაფიული სახელი შედის, იგი ნათესაობით ბრუნვაში უნდა დადგეს ან წარმომავლობის სახელად იქცეს — აბორიგენის მსაზღვრელად, ვთქვათ, ასე: ავსტრალიაში მცხოვრები აბორიგენი > ავსტრალიის || ავსტრალიელი აბორიგენი, შდრ.: „ასეთი დაუსჯელი ნადირობა გამოაცხადეს კოლონიზატორებმა ავსტრალიის აბორიგენებზე, ტასმანიელებზე („თბილ.“). თუკი წინადადებაში ადგილის ზმნისართები გვაქვს, როგორცაა აქ, იქ და მისთ., წინადადების გამარტივებისას ისინი წარმომავლობის ზედსართავებად უნდა გადაკეთდეს, მაგ., ასე: აქ (იქ) მოსახლე (მცხოვრები) აბორიგენი > აქაური (იქაური) აბორიგენი...

იგივე შინაარსი სხვა ლექსიკური საშუალებებითაც შეიძლება გამოიხატოს, კერძოდ, ასეთი შესიტყვებებით: მკვიდრი ავსტრალიელი, ავსტრალიის მკვიდრი (მკვიდრნი), ავსტრალიის მკვიდრი (||ადგილობრივი) მოსახლეობა, იქაური მკვიდრი (||ადგილობრივი) მოსახლეობა და ა. შ. მაგ.: „აღ-ტეა-რაია“ — „გრძელი თეთრი ღრუბელი“ — ასე უწოდებენ ახალ ზელანდიას მისი მკვიდრნი მაორები“ („თბილ.“); „ქვეყნის მკვიდრი მოსახლეობა თითქმის მთლიანად განადგურდა“ (ქსე); „ავსტრალიის მკვიდრი მოსახლეობის წინაპრები სამხრეთ აზიიდან გადმოსახლებული უნდა იყვნენ ზედა პალეოლითის ხანაში“ (ქსე).

მაგრამ აბორიგენის ცნების აღწერითი გადმოცემაც ყოველთვის როლი გვაზღვევს გაუმართლებელი ტაეტოლოგიური გამოთქმებისაგან. შდრ.: „მისი სახელი მარტო მწყემსებს შორის როდია ცნობილი, ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობაც პატივისცემით ეპყრობა... ექიმს“ („სოფლ. ცხოვრ.“). ხაზგასმულ სიტყვათშეხამებაში ზედმეტია ერთერთი მსაზღვრელი და როგორც შესიტყვების, ისე მთელი წინადადების გასამართავად საჭირო ხდება რომელიმე მათგანის ამოღება.

აბსოლუტური; აბსოლუტურად. აბსოლუტური წიგნის გზით შემოსული ინტერნაციონალური სიტყვაა. განიმარტება, როგორც: არა-შეფარდებითი, თავისთავადი, სრული. გავრცელებული შესიტყვებებია: აბსოლუტური ქეშმარიტება, აბსოლუტური მონარქია, აბსოლუტური უმრავლესობა (ხმებისა), აბსოლუტური სმენა... ამ ზედსართავი სახელისაგან არის ნაწარმოები ზმნისართი აბსოლუტურად, რომელსაც (ისევე როგორც ფუძე-ზედსართავს) თავდაპირველად გამოყენების საკმაოდ შემოსაზღვრული სფერო ჰქონდა. დღეს კი იგი ფართოდაა გავრცელებული როგორც სალიტერატურო, ისე სასაუბრო ენაში და თითქმის განდევნა ხმარებიდან სინონიმური მნიშვნელობის ქართული ზმნისართები — მთლიანად, სავსებით, სრულიად. თანაც, თუ ამ ორ

უკანასკნელს თითქოს განაწილებული აქვს ფუნქციები, — განარჩევს დადებით და უარყოფით კონტექსტებს (იხ. **სავსებით და სრულიად**), **აბსოლუტურად** ჩაენაცვლება მათ ნებისმიერ კონტექსტში და ჭმნის დაშტამპულ შესიტყვებებს. მაგალითად: „— ამას შენ სერიოზულად ამბობს? — **აბსოლუტურად** [უნდა იყოს: სავსებით] სერიოზულად“ (გ. ფანჯ.); „ბატონი ვასო გოძიაშვილი **აბსოლუტურად** [უნდა იყოს: სავსებით] ღირსია მაღალი პატივისა“ („ლიტ.საქ.“); „ფანატიკოსი რომ იყო, **აბსოლუტურად** [ჯობს: მტკიცედ] უნდა გჯეროდეს, რომ მართალი ხარ“ („ხომლი“); „მთვრალი კაცი კარგი კაცი“ — ეს გამოთქმა **აბსოლუტურად** [უნდა იყოს: სრულიად(აც)] არ ამართლებს...“ (საუბ.).

აღამიანები, მხედრები, ნიჩბოსნები, ამხანაგები, მეგობრები. და მისთ. ფორმები სინტაქსურად შედგენილი შემასმენლებია, რომელთა სახელადი ნაწილი სულიერის, უფრო მეტიც, ადამიანის აღმნიშვნელია.

საერთოდ, ქვემდებარე-შემასმენლის რიცხვში შეთანხმების ერთ-ერთი წესი ქართულში ასეთია: სულიერის აღმნიშვნელი სახელი შემასმენელს შეიწყობს მრავლობით რიცხვში (**ადამიანები ცხოვრობენ**). როცა შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად ადამიანის აღმნიშვნელი სიტყვაა, ქვემდებარედაც, ბუნებრივია, გამოყენებულია ასეთივე სახელი. ამიტომ ასეთი შემასმენლის ზმნური ნაწილიც მრავლობითში უნდა იყოს, როცა სახელადი ნაწილი მრავლობითშია (**ისინი ნამდვილი ადამიანები არიან**).

მეშველი ზმნის აწმყო დროის მრავლობითი რიცხვის ფორმა **არიან** არ იცვლება, არ ცვდება (შდრ. -ა<არის) და ყოველთვის უნდა იხმარებოდეს სრული ფორმით. მაშასადამე, ზემოთ დასახელებული ფორმები შედგენილი შემასმენლისა მცდარია, სინტაქსური ნორმის დარღვევის შედეგია. უკანასკნელ ხანს კი სწორედ ამგვარი ფორმები მოეძალა ქართულ ენას. მაგალითად: „მისი გმირები ცოცხალი **ადამიანები**“ („ახ. კომ.“); „მისი ჩვემალ თოფურიძის უმომქმედების ძირითადი თემა... ბედნამუხთლვეი **ადამიანები**“ („ახ. კომ.“); „— ესენი ვინ არიან?... — **ნიჩბოსნები, ლატვიდან**“ („ცისკ. ბიბ-კა“); „შორს მუავე წყლებთან მტვრის კორიანტელი იდგა. **„მხედრები**“, გაიფიქრა სულხანმა და ქუსლი პკრა ტაიქს“ (გ. ხარ.); „ქალაქის საუკეთესო ბიჭები სწორედ ისინი და მისი **ამხანაგები**“ (გ. დოჩან.); „ნოველის გმირის გალოთების მიზეზი მისი საყვარელი ქალი და **მეგობრები**, რომლებმაც უნა გზაზე დატოვეს იგი“ („ახ. კომ.“) და სხვ. ამ უკანასკნელ ორ შემთხვევაში სინტაქსური დარღვევა უფრო უხეშია, ვინაიდან შედგენილი შემასმენლების სახელადი ნაწილები ერთგვაროვანი წევრებითაა

გამოხატული (ქალი და მეგობრები; ისინი და მისი ამხანაგები), ორივე სულიერის აღმნიშვნელია და, თანაც, ერთ-ერთი ამ სიტყვათაგანი მრავლობით რიცხვშია.

მაშასადამე, თუ შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი ადამიანის აღმნიშვნელი სიტყვაა, ექვს არ იწვევს მასთან მეშველი ზმნის რიცხვში შეთანხმება. -ა მიღებულია არის ზმნის შემოკლებით, არიან ფორმა კი არ მოკლდება და იგი სრულად უნდა იხმარებოდეს საერთოდ სულიერის აღმნიშვნელ ქვემდებარესთან მრავლობით რიცხვში. დასახელებულის მსგავსი ფორმები უნდა აღიკვეთოს და მათ ნაცვლად უნდა იყოს: ადამიანები არიან, მხედრები არიან, ნიჩბოსნები არიან, ამხანაგები არიან, მეგობრები არიან და სხვ. „ჯაზში მხოლოდ ქალიშვილებია“ (კინოფილმის სახელწოდება). უნდა იყოს: „ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები არიან“.

ადგილი აქვს. მყარი შესიტყვება ადგილი აქვს რუსულის გზით შემოსული კალკია (შდრ.: имеет место) და ნიშნავს: ხდება ხოლმე, რისამე შემთხვევები არის, შეინიშნება რამე. ეს გამოთქმა განსაკუთრებით ბოლო დროს გავრცელდა ქართულ სალიტერატურო ენაში და, თუ ზოგჯერ ლექსიკური ერთფეროვნების ასაცილებლად ენა იგუებს ასეთ წარმოებას, უმეტესად იგი ენაცვლება ქართულისათვის ბუნებრივ გამოთქმებს და სტილისტიკურად მიუღებელია. ძირითადად, ამ რიგისაა ის შემთხვევები, როდესაც ადგილი აქვს დაკავშირებულია საწყისთან. შესიტყვება ადგილი აქვს + საწყისი, რომელიც მთლიანად წინადადებაში შემასმენლის ფუნქციას ასრულებს, ქართულისათვის არაბუნებრივი და შეუფერებელია და უნდა შეიცვალოს ამ გამონათქვამის შესიტყვისი ზმნებით.

ამის მიხედვით ენობრივად გასამართავია შემდეგი წინადადებები: „როცა წარმოება მომგებიანია, ადგილი აქვს შრომის ნაყოფიერების ზრდას [უნდა იყოს: იზრდება შრომის ნაყოფიერება]“ („ივრ. განთ.“); „წალკის რაიონში... გაიზარდა დანაშაულობათა... შემთხვევები, ეს იმ დროს, როცა მთლიანად რესპუბლიკაში ადგილი აქვს კლებას [უნდა იყოს:... მთლიანად რესპუბლიკაში იკლავს]“ („საქ. კომ.“); „დადგენილია, რომ ზოგიერთ სატყეო მეურნეობაში... ადგილი აქვს კულტურების დაღუპვას [უნდა იყოს: იღუპება კულტურები]“ („საქ. ბუნ.“); „ადგილი აქვს მცენარისათვის უკვე გამოუსადეგარი... ნივთიერების დაგროვებას [უნდა იყოს: გროვდება მცენარისათვის უკვე გამოუსადეგარი ნივთიერება]“ („ჭიათ. მალ.“); „ყინვის ზანგრძლივობის შესაბამისად ადგილი აქვს ვაზის... დაზიანებას [უნდა იყოს: ზიანდება ვაზი]“ („გამარჯვ.“); „ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ადგილი აქვს საკვების არა მარტო უყაირათოდ ხარჯვას, არამედ დატაცე-

ბასაც კი [უნდა იყოს: საკვებს არა მარტო უყარაათოდ ხარჯავენ, არამედ იტაცებენ კიდევ]“ („ივრ. განთ.“); „ცხადია, ... ადგილი ექნება ხარისხის დაცემას [უნდა იყოს: ცხადია, დაეცემა ხარისხი]“ („სოფლ. ცხოვრ.“); „1974 წელს... სასამართლომ განიხილა სულ 8 პიროვნების საქმე, რომელთა მხრივ გასაჩივრებას ადგილი არ ჰქონია [უნდა იყოს: ...რომელთაც არ გაუსაჩივრებიათ]“ („საქ. კომ.“); „რემონტის ხარისხს არ ვემდურით, დღემდე შეფერხებას ადგილი არ ჰქონია [უნდა იყოს: [რემონტი] დღემდე არ შეფერხებულა]“ („ივრ. განთ.“).

ადგილობრივი მკვიდრი ტავტოლოგიური სიტყვათხმარების ნიმუშია; მიღებულია საერთაშორისო სიტყვის — აბორიგენის აღწერითად გადმოცემისას სინონიმურ მსაზღვრელთა — ადგილობრივისა და მკვიდრის მექანიკური შეერთებით. დაწვრილებით იხ. აბორიგენი.

აპტომ- ქართულში რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილია, მომდინარეობს ბერძნ. autos სიტყვისაგან და ნიშნავს იმასვე, რასაც ქართული ნაცვალსახელი თვით ან თავისი, ავტო- სიტყვის მონაწილეობით ქართულში საკმაოდ ბევრი სიტყვაა ნაწარმოები, რომელთა მომდევნო შემადგენელი ნაწილი ქართულია, ან — უმეტესად — უცხოური: ავტობიოგრაფია, ავტოგრაფი, ავტოკალამი, ავტოპორტრეტი, ავტორეფერატი და მისთ. დასახელებულ სიტყვებში ივარაუდება თვით, თავისი, პირადი, საკუთარი სიტყვების შინაარსიც, ძირითადი მნიშვნელობის გარდა.

ავტობიოგრაფია საკუთარი ბიოგრაფიაა, ვისიმე მიერ თავისი ცხოვრების აღწერა („საბუთებს უნდა ერთვოდეს ავტობიოგრაფია ორ ცალად“ („კომ.“).

ავტოგრაფი (ბერძნ. autographos) ნიშნავს: 1. რაიმე ნაწარმოების ხელნაწერს, თვით ავტორის ხელით შესრულებულს, ან 2. საკუთარ ხელმოწერას: „ორმოცი წელი სდარაჯობდა გიგო ამ საუნჯეს — ოფიციალურ დოკუმენტებსა თუ გარდაცვლილი მწერლების ავტოგრაფებს“ (ნ. ონაშვი.); „უხედავ ავილდოებდნენ ქართველ მსახიობებს ჯერ სცენაზე, შემდეგ კი ხუარესის თეატრის კიბეებზე, ავტოგრაფების დარიგების დროს“ („ლიტ. საქ.“).

ავტოპორტრეტი მხატვრის მიერ დახატული საკუთარი პორტრეტი. ცნობილია რემბრანდტის, რუბენსის, ვან-გოგის, რუპინისა და სხვათა ავტოპორტრეტები...

დასახელებულ სახელთა მსაზღვრელებად კუთვნილებითი ნაცვალსახელებისა (ჩემი, შენი, მისი, თავისი) და პირადი, საკუთარი ზედსართავების გამოყენება არ ივარგებს, ვინაიდან რთული სიტყვა შეიცავს ამ მსაზღვრელი სახელების სემანტიკასაც. თავისი, პირადი და საკუთარი ყოველთვის ზედმეტი იქნება ამ რთულ სახელებთან, ე. ი. აზრო-

ბრევად ყოველთვის შექმნის ტავტოლოგიურ შესიტყვებას. ჩემი, შენი და მისი (მრავლობითი რიცხვის ფორმა პირდაპირი მნიშვნელობით გამორიცხული) ნაცვალსახელების გამოყენებისათვის კი უნდა აღინიშნოს შემდეგი: ტავტოლოგიური შესიტყვებები გვექნება ისეთ შემთხვევებში, როცა სუბიექტისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელის პირი ემთხვევა ერთმანეთს. მაგ.: „მე მოგიტანეთ ჩემი ავტობიოგრაფია“, „მან ჩავაბარათ თავისი ავტობიოგრაფია“, „ხომ მოიტანე შენი ავტობიოგრაფია“ და მისთ. საკმარისი იყო თქმულიყო: „მოგიტანეთ ავტობიოგრაფია“, „მან ჩავაბარათ ავტობიოგრაფია“, „მოიტანე ავტობიოგრაფია!“ ცხადია, რომ ავტობიოგრაფია სუბიექტისაა. მაგრამ კუთვნილებითი ნაცვალსახელი აუცილებელი იქნება ისეთ შემთხვევებში, როცა მოქმედების სუბიექტი ერთი პირია, ხოლო ავტობიოგრაფია კი სხვა პირისაა: „მოგიტანათ მან ჩემი ავტობიოგრაფია?“ („მოგიტანათ მან ავტობიოგრაფია“ სხვა ფაქტს გამოხატავს), ან: „მე ხომ გუშინ ჩავაბარეთ მისი ავტობიოგრაფია?“.

ეს შინაარსობრივი ნიუანსები უნდა იქნეს გათვალისწინებული ავტობიოგრაფისა და ავტობიოგრაფის გამოყენების დროსაც: ძნელი გასარჩევია, ეს ჩემი ავტობიოგრაფია თუ შენი? გამოთენახე წარვადგინე ავტობიოგრაფი, შევიძინე მისი ავტობიოგრაფი და სხვ.

თანამედროვე ქართულში არის ავტო- სიტყვის შემეგობით ახალ სიტყვათა შექმნის ცდებიც: ავტოგანაჩენი, ავტოკრიტიციზმი და მისთ.: „ხოლო ის, რასაც ბესიკ ხარანაულის ბოლო პოემის გმირი მოგვითხრობს თავის თავზე, უკვე ჩვეულებრივი ლირიკული აღსარება კი აღარაა, არამედ სასტიკი ავტოგანაჩენი“ („ლიტ. საქ.“); „მძაფრი ავტოკრიტიციზმის გამოვლენის თითქმის ერთადერთ ნიმუშად სიმონ ჩიქოვანის იჭვი გამოიყურებოდა“ („ლიტ. საქ.“). ავტო- აქ მხოლოდ თვით სიტყვის მნიშვნელობითაა გამოყენებული. სიტყვათშემოქმედების ასეთ ტენდენციას თანამედროვე სალიტერატურო ქართული მხარს ვერ დაუჭერს, რადგანაც გვაქვს თვითგანაჩენიც და თვითკრიტიკაც.


ავტობიოგრაფია იხ. ავტო-

ავტობრაფი იხ. ავტო-

ავტობიოგრაფი იხ. ავტო-

ავტორი ლათინური წარმოშობის (autor) საერთაშორისო სიტყვაა. აღნიშნავს რაიმე ნაწარმოების (ლიტერატურულს, მხატვრულს, მუსიკალურს, მეცნიერულს...) შემქმნელს, გამომგონებელს. ბუნებრივი შესიტყვებებია: ნაწარმოების (ლექსის, მოთხრობის, პოემის...) ავტორი, წიგნის ავტორი, სტატიის (წერილის) ავტორი და მისთ. უჩ-

1-3622



ვეულო ჩანს ამ სიტყვის გამოყენება ისეთ შემთხვევებში, როცა შემოქმედების, შექმნის სემანტიკა გამორიცხულია. თანამედროვე ქართულში, განსაკუთრებით კი სპორტულ თემებზე საუბრისას, დაუბრკოლებლად ხმარობენ გამოთქმებს: ბურთის ავტორი, გოლის ავტორი, დარტყმის ავტორი და მისთ. მაგ.: „საპასუხო ბურთის ავტორი იყო წიწუაშვილი“ („ლელო“); „პირველი გოლის ავტორი 62-ე წუთზე იყო გ. ნოდია“ („კომ.“). ასეთი ხმარებით ავტორ-სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა უფერულდება.

სახელი ავტორი გვხვდება სხვა მსაზღვრელების თანხლებითაც: რეკორდის ავტორი, მიღწევის ავტორი, ვვაქეს ბაღის (ხეივანის, ტრასის) ავტორიც კი! მაგ.: „შეხვედრა მიეძღვნა... ნინო ღუმბაძის მიერ მსოფლიო რეკორდის დამყარების 30 წლისთავს და მისი ავტორის დაბადების 50 წლისთავს“ („ახ. კომ.“); „დამყარდა... მსოფლიო რეკორდი [სპორტის ერთ-ერთ სახეობაში]. ამ მიღწევის ავტორია ლეოველი ყურნალისტი“ („ლელო“); „ნაკრების ერთ-ერთმა საუკეთესო მოთხილამურემ — სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა გალინა კულაკოვამ მაშინ ტრასის ზედმეტი სირთულის გამო უსაყვედურა მის ავტორს — ბაკურიანელ გურამ სანაკოევს“ („კომ.“); „უმეტესობას არც კი სცოდნია მათი [ბაღებისა და ხეივანების] ავტორების ვინაობა“ („კომ.“).

ავტორ-სიტყვის დაუდევრად გამოყენება კურორტული შესიტყვების წყაროც გამხდარა: „არაკაცებმა წაბილწეს მეგობრობის, სტუმარ-მასპინძლობის წმიდათაწმიდა ზნე-ჩვეულება, დაივიწყეს ყველაფერი და სულში ჩაბუდებული სამარცხვინო სიხარბით შემაზრუნენი მკვლელობის ავტორები გახდნენ“ („სოფლ. ცხოვრ.“).

ამგვარი გამოყენება ავტორ-სიტყვისა ან პროფესიული ყარგონიზმია (მაგ.: სპორტულ თემებზე საუბრისას: გოლის ავტორი, ბურთის ავტორი, დარტყმის ავტორი, რეკორდის ავტორი, მიღწევის ავტორი და მისთ.), ან სასაუბრო ელფერის მქონეა და ამიტომ წიგნურ, ოფიციალურ-საქმიან მეტყველებაში გაუმართლებელი.

უადგილოა სიტყვა ავტორის გამოყენება ისეთ შემთხვევებში, როცა გამორიცხულია შემოქმედებითი პროცესის შედეგად შექმნის სემანტიკა. ზოგჯერ კი შექმნის შინაარსიც არ არის საკმარისი და საჭიროა სიტყვა პროექტის დამატება. მაგ.: ბაღისა და ხეივანის ავტორი კი არა, არამედ ბაღისა და ხეივანის პროექტების ავტორი; „შენობის, ხიდის, სპორტულ ნაგებობათა და სხვათა ავტორებს მაშინათვე გავაცნობთ ხოლმე საზოგადოებრიობას“ („კომ.“). უნდა იყოს: შენობის, ხიდის, სპორტულ ნაგებობათა და სხვათა პროექტების ავტორებს...

სალიტერატურო ენის თვალსაზრისით დაუშვებელია შესიტყვებები: სადილის ავტორი, ხაჭაპურის ავტორი, საცივის ავტორი და სხვ.

შესაძლებელია მხოლოდ ასეთი ზმარება: ხაჭაპურის, ხაცივის... რეცეპტის ავტორი (შემდგენი, მომგონი).

ავტორის შესახებ ნათქვამი ეხება სიტყვა თანავტორსაც: „ამ მოკლე დროშიც მოასწრო თანავტორი გამბდარიყო ისეთი დიდი რესპუბლიკური რეზონანსის მქონე ღონისძიებებისა [უნდა ყოფილიყო ისეთ... ღონისძიებათა პროექტის თანავტორი], როგორც იყო რიყეზე გამართული ცოდნის ზეიმი და რესპუბლიკის მთავარ მოედანზე ჩატარებული დიდი დისკოთეკაც“ („ახ. კომ.“).

აითვისებს შედარებით ახალი წარმომოხების ზმნაა, მაგრამ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში საკმაოდ ხშირად იხმარება. თავისი ძირითადი მნიშვნელობით (=სავსებით, მთლიანად გამოიყენებს, მთლიანად მოიხმარს) ის ყველაზე ხშირად გვხვდება ფულის ერთეულის აღმნიშვნელ არსებით სახელებთან (მანეთი, დოლარი...) და, საერთოდ, ფულის სინონიმებთან (თანხა, ხახსრები, ფონდი, კაპიტალდაბანდებანი და მისთ.): „ყოველივე ეს სავანგაშოა, რადგან წლიდან წლამდე ვერ სრულდება... მშენებლობის გეგმები, აუთვისებული რჩება ახლად ათასობით მანეთი“ („თბილ.“); „საბჭოთა მეურნეობამ იმავე წელს აითვისა დაშვებული თანხის ნახევარზე მეტი“ („ლიტ. საქ.“); „...კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის ზრდა ბევრად უსწრებს გამოყოფილი სახსრების ათვისების შესაძლებლობას“ (კომ.“); „ფოლად-თუჯსახმელ ქარხანაში გეგმა შესრულებულია, ათვისებულია გამოყოფილი ფონდი“ („თბილ.“); „ბლენუმზე დიდი ყურადღება დაეთმო უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო ობიექტების დროულად ჩაბარებას, კაპიტალდაბანდებათა ათვისებას“ („ახ. კომ.“) და სხვ.

აითვისებს, აითვისა ზმნები თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ხშირად ენაცვლება დაეუფლება, დაეუფლა (=შეისწავლის, შეისწავლა) ზმნებსაც: „იმ დღიდან დასაბამი მიეცა ელმანელის შეკეთების საკმაოდ რთული ტექნიკის ათვისებას“ („თბილ.“); „უნდა ავითვისოთ სამი ახალი სახის პროდუქციის გამოშვება“ („ვანთ.“, ვანი); „პლასტმასის ქარხნის მშრომელებმა გადაწყვიტეს... აითვისონ ექვსი სახის პლასტმასის ახალი დეტალების წარმოება“ („კომ.“)... ყველა ამგვარ შემთხვევაში აითვისებს ნიშნავს: შეისწავლის იმ მიზნით, რომ დაეუფლოს მის მოხმარებას, გამოშვებას, წარმოებას და მისთ.

თანამედროვე ქართულში ბუნებრივად ითვლება აგრეთვე გამოთქმა ფართობის (მიწის, ტერიტორიის...) ათვისება, რაც ნიშნავს: რაიმე დანიშნულებისათვის, გარკვეული მიზნით მიწის ფართობის მთლიანად გამოყენებას, მთლიანად მოხმარებას: „საბჭოთა მეურნეობის ათვისებული ფართობების ნახევარზე მეტი ჩაის პლანტაციებს უკავია“

(რ. ჯაფ.); „ეს რეზერვებია ნასვენნი მიწების ათვისება, ქვა-ლორღიანი მიწების გაწმენდა“ („სოფლ. ცხოვრ.“); „ამიტომ ამ მიწების ათვისების რაიონებში საბჭოთა პატრიოტები უდიდესი მისთვის მშენებლობის ეწეოდნენ“ („საქ. კომ.“); „ორივე ცდილობდა არა მარტო დაეღაშქრა საქართველო, არამედ მისი ტერიტორია ბოლომდე აეთვისებინა“ („ლიტ. საქ.“); „...კლხეთის დაბლობის დაშრობა-ათვისებასაც განხორციელების საკუთარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი წესები და თანამიმდევრობა აქვს“ (რ. ჯაფ.)...

ამ რიგის შემთხვევების ანალოგიით დასახელებული ზმნა ზოგჯერ არასწორად მოიხმარება მისთვის შეუფერებელ შესიტყვებებში. მაგ.: „ამ თანხით, სხვა სამუშაოებთან ერთად, უნდა აითვისონ ათეულობით ახალი ქუჩა, ბაღი, სკვერი, გზის მაგისტრალები“ („საქ. ბუნ.“); „გამოიყო სახსრები ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერისა და დეკორატიული მონაკვეთის ასათვისებლად“ („გამარჯვ.“).

დამოწმებულ წინადადებათა სტილისტიკური გაუმართაობის მიზეზი ნათელია — ლაპარაკია გარკვეული (დაშვებული, გამოყოფილი) თანხით ქუჩებისა და გზის მაგისტრალების გაყვანაზე; ბაღის, სკვერის, დეკორატიული მონაკვეთის (=კუთხის) გაშენებაზე, მოწყობაზე (კეთილმოწყობაზე). ამ ზმნების შინაარსს კი აითვისებს ზმნა ვერ გადმოსცემს. აჯობებდა ეთქვათ: ამ თანხით... უნდა გაიყვანონ ათეულობით ახალი ქუჩა და გზის მაგისტრალი, გააშენონ ბაღები, მოაწყონ სკვერები; გამოიყო სახსრები... სკვერისა და დეკორატიული მონაკვეთის გასაშენებლად ან მოსაწყობად. შდრ.: „შეკეთების სამუშაოები მოეწყობა რაიონის ბაღ-სკვერებში, გაზონებსა და ფერდობებზე. გააშენებენ ორ ახალ სკვერს და ერთ დეკორატიულ კუთხეს („თბილ.“); „მუშა-მოსამსახურეთა ერთი ნაწილი... კეთილმოაწყობს მიმდებარე-მომიჯნავე ტერიტორიას, ბაღებსა და სკვერებს“ („თბილ.“); „აქვე გაკეთდა სამი დეკორატიული კუთხე“ („თბილ.“); „...სკვერი გააშენონ ზემო ვაკის დასახლებაში“ („თბილ.“).

აინუნში არ არის; აინუნში არ აგდებს. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში არაბული წარმოშობის სიტყვა აინუნში შედის ერთადერთ ფიგურალურ გამოთქმაში აინუნში არ მოსდის—ფიქრადაც არ მოსდის, არ ამჩნევს, ყურადღებას არ აქცევს, არაფრად აგდებს. მაგ.: „ბევრს სოფლის საპატარძლო ქალებს თვალი დარჩენიან გიორგიზე..., გიორგის კი აინუნშიაც არაფერ მოსდის“ (ილია). „თქვენი წყენა აინუნშიაც არ მოგვდის“ (ილია); „მას ჩემი სიტყვები აინუნშიაც არ მოსვლია, თუ არც კი გაუგონია“ („კომ.“).

აგებულებისა და ფუნქციის მიხედვით ამ გამოთქმის ეკვივალენ-

ტურია თვალ-სიტყვის შემცველი იდიომა თვალში არ მოსდის — არ მოსწონს, ყურადღებას არ აქცევს: „ავსტრიის ამრიგად გაძლიერება თვალში არ მოსდის“ (ილია).

მსგავსი შინაარსის განოსახატავედ თანამედროვე სალიტერატურო და სასაუბრო მეტყველებაში გავრცელებულია გამოთქმები: აზრად არ მოსდის, ბაიბურში არ ავდებს, ბაიბურში არ არის. ამ გამოთქმათა გავლენით უნდა იყოს შექმნილი თანამედროვე ქართულში სიტყვა აინუნის შემცველი ასეთი სიტყვათშესაბამებები: აინუნში არ არის და აინუნში არ ავდებს. მაგ.: „წელან, როდესაც ტელეფონისტმა ქალმა არჩილს დაურეკა და უთხრა, უფროსი გეძახისო, არჩილი შეცბა, ვაითუ ლეკა-შვილმა გამთქვაო, მაგრამ მადლობა ღმერთს, ყველაფერი კეთილად დაბოლოვდა. ჩოხელი აინუნში [უნდა იყოს: ბაიბურში] არ არის“ (კ. ლორთქ.); „აინუნში [უნდა იყოს: არაფრად] არ ავდებდა, სევას ლაპარაკი რომ შეაწყვეტინა“ („ცისკ.“); „ირემს ჩემი გამოჩენა აინუნშიაც არ ჩაუგდია [უნდა იყოს: არაფრად ჩაუგდია], თავი აეღირა და ნშვიდად შემომცქეროდა“ („მნათ.“); „[გურამი] არც თეთრად გატეხილ ღამეებს იგდებს აინუნში [სწორია: ავდებს სათვალავში; ავდებს რამედ; აქცევს ყურადღებას]“ („კომ.“).

ალო; ალოობა. ქველ-ში ალო სიტყვის ძირითად მნიშვნელობად მითითებულია: დღიური ნახნავი, — ხენის დროს გუთნეულში მონაწილეთა სარგოს ერთეული („ორი დღის ალო მერგება, გადამიხნავენ ხელადა“ — რ. ერისთ.). ასეა განმარტებული იგი საბას, დ. და ნ. ჩუბინაშვილების ლექსიკონებში. ქართული ენის აღმოსავლურ დიალექტებშიც (ქართლურში, ქიზიყურში) დადასტურებულია ამ სიტყვის ამგვარი მნიშვნელობა.

ალო სიტყვისაგან ჩანს ნაწარმოები ალოვნობა (და მისი ფონეტიკური ვარიანტი ალოვნება), რომელიც ლექსიკონებში განმარტებულია, როგორც „შეამხანაგებით ხენა და ალოს განაწილება“. ქართული წყაროების მიხედვით, გუთნეულით „გადაბმით“ მუშაობის მთელ ციკლს ალოვნობა ეწოდება. ისიც აღნიშნულია, რომ ალო არის „საქართველოს მთიანეთის ზოგიერთ მხარეში ერთი სახენელი უღლის სიგანის მიწა, რომლის მოხვნის შემდეგ ხარებს ასვენებდნენ“ (ქსე). ეს მნიშვნელობა ჩანს ამოსავალი მყარი გამოთქმისათვის: ალოს გატანა.

ქართული ენის ზოგ დიალექტში (მაგ., ზემოიმერულში) სიტყვა ალო გამოიყენება რაიმე შესაფერისი დროს, სეზონის მნიშვნელობით, რაც ქველ-შიც არის შესული ალოს მეორე მნიშვნელობად. მაგ.: „ჩემი შეცდომაც მოიტანა ალომა“ (აკაკი); „ამგვარი კაცების ხანადირო ალო მაშინ არის, როდესაც არეულ-დარეულობაა“ (აკაკი);

„როგორც კი დაგვიდგება სამუშაო ალო, მაშინ გაანსენდებათ გზის მუშაობაც“ (აკაკი); „სადილობის ალომ მოაწია“ (დ. კლდ.); „აპრილში დგება ალო წვიმებისა“ (რ. თვარ., თარგმ.); „წვიმების ალო რომ დადგება, დავჯდები და მეც ავტირდები“ („ცისკ.“); „თევზაობის ალო წავიდა და მეთევზე უმეტესად მეწისქვილეს ესმარებოდა“ (ა. სულაკ.); „ვენახის შეწამვლის ალოზე სულ ამოიხაპებოდა ხოლმე ჩვენი სოფლის წყარო“ (ე. ყიფ.); „მადროვე, ქალო, ამ ყელისჭრა ალოზე სახლისათვის მცხელა?!“ (ნ. შამან.) და სხვ.

ალო სიტყვის გამოყენება შესაფერისი დროის, სეზონის აღსანიშნავად ძირითადი მნიშვნელობის გაფართოების შედეგი უნდა იყოს. ასეთ შემთხვევაში ალო (სეზონი, დრო) და ალოვნობა||ალოვნება (შეამხანაგებით ხენის პერიოდი) სემანტიკურად ახლოსაა ერთმანეთთან.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, ალო დამოუკიდებლადაც იხმარება და მართულ მსაზღვრელებთან ერთადაც. ორსავე შემთხვევაში აღნიშნავს რაიმე სამუშაოს, საქმიანობის დროს. მართული მსაზღვრელით დაკონკრეტებულია საქმიანობის სფერო. ალო-ს სინონიმალ ზოგჯერ გამოყენებულია ალოსთავი: „გაზაფხულსა და შემოდგომაზე გახურებული ალოსთავია და ვერ მოიცილი“ (ა. გეწ.); „გაგანია ალოსთავზე სოფლის აგრონომს ნიადაგ შინ ყოფნა არ შეეძლო“ (რ. ჯაფარ.) და სხვ.

თანამედროვე ქართულში იხმარება ალო სიტყვისაგან ნაწარმოები ალოობა, რომლის ფორმაცა და მნიშვნელობაც ალოვნობა სიტყვის აღნიშნულ მნიშვნელობაზე ემთხვევა და ალო სიტყვის ახალ მნიშვნელობასაც უახლოვდება. ერთი მხრით, ალოობა გულისხმობს ერთად მუშაობას, მეორე მხრით, აქ ივარაუდება არა მხოლოდ ხენა-თესვის დროს ერთად მუშაობა, არამედ სხვადასხვაგვარი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დრო, სეზონი. მაგალითში — „კახეთში ალოობა იენისის ბოლოს იწყება“ („ცისკ.“) — ალოობა შეიძლება ნიშნავდეს თივის დამზადებისათვის ერთობლივი, დაძაბული მუშაობის დროსაც და მარცვლეულის ასადებად ერთობლივი მუშაობის დროსაც. სხვა მაგალითებში კი ხან ხენა-თესვის სეზონი ივარაუდება, ხან კიდევ — მოსავლის აღების დრო: „ერედვეში უხვი ალოობა ჰქონდათ, მაგრამ უცბად კოკისპირული წვიმა მოვიდა“ (კომ.); „ბარაქიანი ალოობა ჰქონდათ ქისტაურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მხენელ-მთესველებს“ („სოფლ. ცხოვრ.“). ალოობა სიტყვასთან ნახმარი მსაზღვრელები გაგვარკვევენებენ, რომ დასახელებულ შემთხვევებში იგი მოსავლის აღებასთან დაკავშირებით არის ნახმარი, ხოლო მეორე მაგალითში, რაკი მევენახეების ალოობაზე არის საუბარი, სიტყვა მხენელ-მთესველები უადგილოდ უხმარიათ (მხენელ-მთესველები მე-

მინდვრეები არიან). სხვა შემთხვევებში **ალოობა** ნახმარია **-ზე** თანდებულებიანი მიცემითი ან ნათესაობითი ბრუნვის ფორმით — დროის გარემოებად ან მსაზღვრელად — დროის აღმნიშვნელ სიტყვებთან (დრო, ჟამი, დღეები...): „**ალოობაზე** საწერად სად მოიცლი“ (კ. ლორთქ.); „**ალოობის დროს** ოჯახში პერანგის გამოსაცვლელად თუ შეიბრუნდა“ (კ. ლორთქ.); „მანუჩარმა **ალოობის დროს** კოლექტივს 'ზურგი შეაქცია'“ (კ. ლორთქ.); „მეცადინეობიდან უხმოდ ბრუნდებოდნენ ისე, როგორც გლეხები ბრუნდებიან ხოლმე **ალოობის დროს**, ან მეშახტეები ცვლის შემდეგ“ („ცისკ.“) და სხვ.

მაშასადამე, **ალოობა** საგაზაფხულო სამიწათმოქმედო სამუშაოებთან დაკავშირებითაც გამოიყენება და მოსავლის აღებასთან დაკავშირებითაც. ოღონდ ამ სიტყვაში ერთდროულად არის სეზონის, დროის მონაკვეთისა და დროის ამ მონაკვეთში ერთობლივი, მონდომებული, დაძაბული, მრავალდღიანი შრომის მნიშვნელობა. წინადადებაში — „**1984 წლის ალოობის დღეებში** ჩვენ არსებითს დახმარებას გავუწევთ მინდვრის შრომელებს“ („კომ.“) — აშკარად საგაზაფხულო სამუშაოების პერიოდი იგულისხმება, სხვა შემთხვევაში კი **ალოობა** აღნიშნავს მოსავლის აღებისათვის ერთობლივი შრომის დროს: „მე და ჩემმა ამხანაგმა... წინა **ალოობაზე** 35 ცენტნერი მარცვლეული ავიღეთ. მიმდინარე წლის მიჯნაა 40 ცენტნერი“ („კომ.“).

ალოობა უხმარიათ გადატანითი მნიშვნელობითაც, მაგ., სამუალო სკოლის გამოსაშვები გამოცდების აღსანიშნავად: „**ალოობა სკოლისა**“ („იერ. განთ.“ — სათ.), ე. ი. შრომის ნაყოფის მოწვევის დრო სკოლაში. ეს სიტყვა ასეთ კონტექსტშიც არის ნახმარი: „სასკოლო ცხოვრებაში დადგა ჟამი **„ალოობისა“** — ეს არის მეტად პასუხსაგები პერიოდი“ (იქვე).

წყლის ალოობა უხმარიათ თევზჭერის სეზონის აღსანიშნავად: „**წყლის „ალოობა**“ ეს-ეს არის ჩაღდება. ერთ თვეში თბილისელების სუფრა უკვე სამასორმოცდაათი ტონა კალმახით, კობრით, თავდიდათი დამშვენდება“ („კომ.“).

შესიტყვებები — **ჟამი ალოობისა, ალოობის დრო, ალოობის დღეები** და მისთ. აზრობრივად ტავტოლოგიურია, ვინაიდან **ალოობა** თვითონ შეიცავს დროის სემანტიკასაც და, ამდენად, მასთან დროის სემანტიკის სიტყვების ხმარება ზედმეტი ჩანს. ამგვარი შესიტყვებების მაგივრად უმჯობესია იხმარებოდეს მხოლოდ **ალოობა**, ხოლო, თუ კონტექსტი ამ სიტყვას დროის გარემოების ფუნქციის შესრულებას დააკისრებს, აჯობებს გამოიყენოთ ფორმები: **ალოობაზე** ან **ალოობისას**, როგორც ზოგჯერ უხმარიათ კიდევც.

ამაღლებს, მაღლდება; ამაღლება. ამ სიტყვების ძირითადი

მნიშვნელობა დაკავშირებულია მაღალ- ზედსართავის მნიშვნელობასთან და გულისხმობს სიმაღლეში ზრდას, მატებას.

გადატანითი მნიშვნელობით (დაქვეითების, დამდაბლების საპირისპიროდ) ეს ზმნები იხმარება ისეთ განწყენებულ სახელებთანაც, როგორცაა შეგნება, ღირსება... თანამედროვე ქართულში ამ ზმნებმა (და ნაზმნარმა სახელმაც) გაითართოვეს მოხმარების არე. კერძოდ: I. არაბუნებრივი შესიტყვებები შეადგინეს მათ ისეთ სახელებთან (კონკრეტულთან თუ განწყენებულთან), რომელთა სემანტიკა ვერ იგუებს ამ ზმნით გამოხატულ მოქმედებას (არც პირდაპირი და არც გადატანითი მნიშვნელობით). უფრო ბუნებრივ შესიტყვებას ქმნიან ამ სახელებთან სტილისტიკურად ნაკლებ შეფერილი ზმნები — ზრდის, იზრდება. მაგ.: „ავამაღლოთ [უნდა იყოს: გავზარდოთ] მასწავლებლის ხელფასი“ („კომ.“); „იგი არ იბრძოდა კომუნისტების ინიციატივის ამადლებისათვის [უნდა იყოს: გაზრდისათვის]“ („საქ. კომ.“); „ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება კიდევ უფრო ამადლებს [უნდა იყოს: ზრდის] გაკვეთილის ეფექტიანობას“ („ინგ სკოლაში“); „ქარხანამ ძირითადად გეზი აიღო... მსგების შრომითი აქტივობის განუხრეკლ ამადლებასზე [უნდა იყოს: ზრდაზე]“ („საქ. კომ.“); „სსრ კავშირმა დიდ წარმატებებს მიაღწია შრომის ნაყოფიერების ამადლებაში [უნდა იყოს: ზრდაში]“ („საქ. კომ.“).

2. ამადლებს ზმნის ფორმები არასწორად ჩაენაცვლება შესიტყვებაში სხვა ზმნებსაც. მაგ.: „კიდევ უფრო ავამაღლოთ [უნდა იყოს: ვაუმჯობესოთ] ტყის დაცვის ორგანიზაცია“ („საქ. ბუნ.“); „ავამაღლოთ [უნდა იყოს: დავაზუსტოთ, სრულყოთ, დავხვეწოთ. ან: დავადგინოთ] ტყის რესურსების კვლავწარმოების ხარისხობრივი მაჩვენებლების განსაზღვრის წესი“ („საქ. ბუნ.“); „ნიკოტინი... ამადლებს [უნდა იყოს: აუმჯობესებს ან ზრდის] სახლის შედელების უნარს“ („კომ.“).

3. ფიგურალური მნიშვნელობით ამადლება დაუკავშირდა სიტყვა დონეს და შეადგინა მყარი გამოთქმა — დონის ამადლება. თვით სიტყვა დონე დღეს ხშირად იხმარება გადატანითი მნიშვნელობით — ხარისხის სინონიმად. გავრცელებული შესიტყვეებებია: ცხოვრების დონე, კულტურის დონე, კულტურულ-ტექნიკური დონე, სწავლების დონე, მომსახურების დონე... სწორედ ამგვარ გამოთქმებს დაუკავშირდა ამადლება ზმნა: კულტურის დონის ამადლება; მომსახურების დონის ამადლება და სხვ. მაგ.: „მშრომელების ცხოვრების დონის შემდგომი ამადლებისათვის... ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეში“ („საქ. კომ.“); „კულტურული დონის შემდგომი ამადლების პროგრამის განხორციელების მიზნით უზრუნველყოფილ იქნეს...“ („აზ. კომ.“); „ისინი

ყოველდღიურ დახმარებას უწყევნ სუსტ მოსწავლეებს აკადემიური წარმატების დონის ამაღლების საქმეში“ („საქ. კომ.“).

უკანასკნელ ხანს პრესის ენაში გავრცელდა ამ გამოთქმების შეკუმშული ვარიანტები, რომლებიც მიუღებლად უნდა ჩაითვალოს სალიტერატურო ქართულსათვის. მაგ.: მომსახურების ამაღლება (= მომსახურების დონის ამაღლება); სწავლების ამაღლება (= სწავლების დონის ამაღლება), ცოდნის ამაღლება და სხვ. მაგ.: „უკანასკნელ წლებში აჭარაში ერთგვარი ნაბიჯები გადაიდგა სააღმსახურებო მომსახურების [აკლია: დონის] ამაღლებისათვის“ („საქ. კომ.“); „მოსწავლეთა შრომითი სწავლების [აკლია: დონის] შემდგომი ამაღლების მიზნით ფართო მუშაობა უნდა გაიშალოს კლასგარეშე და სკოლისგარეშე დაწესებულებებში ტექნიკური შემოქმედების გასაუმჯობესებლად“ („სახ. გან.“); „ჩვენი განყოფილების მთელი პირადი შემადგენლობა აქტიურადაა ჩაბმული მოსახლეობის იურიდიული ცოდნის [აკლია: დონის] ამაღლებისათვის“ („ლენ. გზით“).

ამბავი. ამბავ- სიტყვის ერთ-ერთი მნიშვნელობაა: ვისიმე თავდასაჯალი, ვისიმე ცხოვრების აღწერა, მონათხრობი ვისიმე ან რისამე შესახებ („გასრულდა მათი ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა“, — რუსთ.) || ცნობა ვისიმე ან რისამე შესახებ („ამბავი ჩამომიტანე ომში წასული ძმისაო“, — ხალხ.) || შემთხვევა, მომხდარი რამ („ჩვენი საზოგადოება მეტად შეაფუცხუნა ერთმა ამბავმა“, — ილია).

ამ მნიშვნელობით სიტყვა ამბავი თანამედროვე ქართულში საკმაოდ ხშირად გვხვდება ნაირგვარ შესიტყვებებში, რომელთაგან ბევრი სახელური თუ ზმნური შესიტყვება მყარ გამოთქმებს ქმნის. მაგალითად: ახალი ამბავი, ცხელი ამბავი (ცხელ-ცხელი ამბები), დიდი ამბავი (დიდ ამბავშია, დიდის ამბით...), ერთი ამბავი ატეხა (ატყდა), ამბავი დააწია, ამბავი დაატრიალა, ამბავი დაუგდო და სხვ. მაშასადამე, ამ სიტყვას გამოყენების ფართო სფერო აქვს, მაგრამ, ნაწილობრივ ამის გამოც, ეს სახელი ხშირად იხმარება უადგილოდაც.

ძალზე ხშირად სიტყვა ამბავი კონტექსტისათვის არსებითად ზედმეტია და ორნამენტულ ფუნქციას ასრულებს: „უნდა მივიჩნიოთ აქსიომად, სრულ ჭეშმარიტებად ის ამბავი, რომ იმას, ვინც ერთხელ არ გაამართლა ნდობა, აღარ ვენდოთ“ („გამარჯვ. ღრ.“); „ძლიერ მიხარია ის ამბავი, რომ ღირსეულ მამას ღირსეული შვილი ჰყავხარ“ (ე. მაისურ.); „სულ უფრო სარწმუნო ხდება ის ამბავი, რომ დღეს... დროა ვიზრუნოთ არა მარტო დასვენებისათვის განკუთვნილ აგარაკებზე და კურორტებზე, არამედ თვით ძირითად ადგილსამყოფელზე“ („საქ. ბუნ.“); „მე განსაკუთრებით ხაზს ვუსვამ იმ ამბავს, რომ ჯერ არა გვაქვს საამისო ბაზა“ (ტელეგად.); „არა მგონია საჭირო იყოს

ძველმა სტიქიამ და კონსტანტინე ლორთქიფანიძე რამდენიმე ლექსით წარუდგა მკითხველს“ („ლიტ. საქ.“). აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ დამოკიდებული წინადადების ადგილი სწორად არაა შერჩეული: ის უნდა მოსდევდეს მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვას („ძველმა სტიქიამ კვლავ იძალა, რაც საკმაოდ იშვიათად ხდება).

მასასადამე, სახელი **ამბავი** ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით ხმარების გამო თანამედროვე ქართულ მეტყველებაში შტამბად ქცეულა. ამგვარი შტამბების თავიდან ასაცილებლად საჭიროა მათი გამოტოვებისა თუ სხვა სიტყვა-კონსტრუქციებით შეცვლის საკითხი სათანადო კონკრეტული კონტექსტის მიხედვით გადაწყდეს.

ამბიონი საეკლესიო ტერმინია (<ბერძნ. *ambōn*) და ნიშნავს ამალღებულ ადგილს ეკლესიაში — აღსავლის კარების წინ. სემანტიკური შეზღუდულობის გამო სასაუბრო, ყოფით მეტყველებაში (მეტადრე ამჟამად) იშვიათად იხმარება.

მაგრამ უკანასკნელი ხანების ქართულ პრესაში შეიმჩნევა ამ სიტყვის გაცოცხლება-გააქტიურების ცდა მისი მნიშვნელობის ხელოვნური გაფართოების გზით. კერძოდ, სიტყვა **ამბიონს** ზოგჯერ ხმარობენ **ტრიბუნა** სიტყვის სინონიმად — მათი ამოსავალი მნიშვნელობების სიანლოვიდან გამომდინარე (იტალ. *tribuna* < ლათ. *tribunal* — ამალღებული ადგილი ორატორისათვის), **ტრიბუნა** კი, გადატანითი მნიშვნელობით, არის იარაღი, საშუალება, რომელსაც იყენებენ პოლიტიკური, პუბლიცისტური ან საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის: „გაზეთი იყო... [დემიან ბედნის] **ტრიბუნა**, მისი პოეტური დაზგა“ („კომ.“); „რაზეც მაღალი **ტრიბუნიდან** ითქვა“ („თბილ.“ — სათ.). ეს სიტყვა — როგორც პირდაპირი, ისე (და მეტადაც!) გადატანითი მნიშვნელობით — საბჭოურ ლექსიკაში მტკიცედაა დამკვიდრებული. არსებობს გამოთქმები: მწერლის ტრიბუნა (საგაზეთო რუბრიკაა), მწერალი-ტრიბუნი, პოეტი-ტრიბუნი... და ისინი წიგნის ენისთვისაა დამასასიათებელი, მაგ.: „მის საუბარში **ტრიბუნისა** და ორატორის გენი უფრო ჩანს“ („ლიტ. საქ.“).

აღნიშნული გადატანითი მნიშვნელობით სიტყვა **ამბიონი**, ჩვეულებრივ, არ იხმარება: ტრადიცია მას მხარს არ უჭერს. ამიტომ **ამბიონის** შემოტანა თანამედროვე ქართულ სიტყვათხმარებაში ტრადიციული **ტრიბუნა** სიტყვის მნიშვნელობით უნდა შეფასდეს, როგორც ჭარბი ექსპრესემა, აღზევებული სტილის შესაჭმნელად მოწოდებული... შდრ.: „ტელევიზიის **ამბიონიდან** პოეტური ქადაგებისას უფროად ჩაქრა ეს სულმნათი კაცი, ასე ზეზეურად შემოაღამდა წუთისოფლის მგზავრს შარაზე...“ („კომ.“). ცხადია, აქ სიტყვათშეხამება **ტელევიზიის ამბიონი** მარჯვე შესიტყვების ნიმუშად არ გამოდგება, თუმცა

თვით სიტყვა **ამბიონი** გარკვეულ სტილისტიკურ შესაბამისობას ქმნის იმავე კონტექსტის სხვა ლექსიკურ ერთეულებთან (პოეტური ქადაგება, სულმნათი, წუთისოფლის მგზავრი). მაგრამ სრულიად შეუწყნარებელია ამ სიტყვის გამოყენება ზეპირ — სადა და ძალდაუტანებელ მეტყველებაში (მათ შორის — ინტერვიუში, ნახევრად ოფიციალურ საუბარში და სხვ.) ჩვეულებრივი, ყოველდღიური ყოფის ამსახველი აზრების გადმოსაცემად. შტრ.: „ჩემს სატივიარს ჩემი **ამბიონიდან** ვიტყვი [აჯობებდა: ჩემი (როგორც მეცნიერის, მწერლის)... პოზიცია (თვალსაზრისი) ასეთია]: ნივთის, კეთილდღეობის წინააღმდეგი როდის ვართ“ („თბილ.“). აქ სიტყვა **ამბიონი** რაიმე აზრობრივ-ლოგიკური აუცილებლობით არ არის შეპირობებული; მას მოცემულ კონტექსტში ყალბი პათეტიკური ელფერი შეაქვს და საჭირობოროტო თემაზე მიმდინარე საუბარს კომიკური ეფექტის შექმნის საფრთხის წინაშე აყენებს.

ამრავლებს ნაწარმოებია სახელისაგან **მრავალი** და ნიშნავს: მრავალს, მრავალრიცხოვანს ხდის; ზრდის, აღიდეგს რაოდენობრივად: „წლიურ შემოსავალს თექვსმეტჯერ **ამრავლებსო**“ (ილია); „სოცდაგარი სარგებლით **ამრავლებს** თავის თანხას“ (გ. წერეთ.)...

უკანასკნელ ხანებში ზმნამ **ამრავლებს** გაიფართოვა მოხმარების არე და გადატანითი მნიშვნელობები გაიჩინა. ამასთან დაკავშირებით კი სინტაგმებში სხვა ზმნებს შეენაცვლა, რის შედეგადაც ენაში მომრაველდა უმართებულო გამოთქმები, როგორცაა: **ამრავლებს ძლიერებას, ამრავლებს მიღწეულს, ამრავლებს წვლილს, ამრავლებს ურთიერთობას** და მისთ. მაგალითად: „მათ მოაგონეს მოსწავლეებს მამებისა და პაპების საგმირო საქმეები და მოუწოდეს...**ამრავლონ** ჩვენი სამშობლოს ძლიერება“ („ახ. ცხოვრ.“); „მათი შრომა **ამრავლებს** საბჭოთა კავშირის ძლიერებას“ („საქ. ავტ.“); „იგი ავერ უკვე ნახევარი საუკუნეა **ამრავლებს** ქვეყნის ღონესა და ძლიერებას“ (თბილ.“); „მათ აღნიშნეს, რომ ესწრაფვიან **ამრავლონ** თავიანთი წვლილი... ხალხთა მეგობრობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებაში“ („სამშ.“); „მისი მიზანია მომავალშიც კეთილად ემსახუროს ჩვენი ქვეყნის მშრომელებს და **ამრავლოს** გვემა-შენბრუნებებიც“ („ალაზნ. განთ.“); „ჩისინი ესწრაფვიან ორივე ქვეყნის და ხალხის ტრადიციული მეგობრობის შესაბამისად **ამრავლონ** განსაკუთრებული ურთიერთობა, რომელიც მათ შორის დამყარდა 1966 წლიდან“ („კომ.“); „იგი მრავალგზის **ამრავლებს** მათს აღმშენებლობითს პოტენციალსა და შემოქმედებითს გენიას“ („კომ.“); „იგი ღირსეულად **ამრავლებს** თავისი მამის — მაიორ გ. ანანიძის დიდებას“ („კომ.“); „დავიცვათ, ვ**ამრავლოთ** ჩვენი დედაბუნება“ („თბილ.“); „მთავარია ისე გამოვიყენოთ ეს უფლებები, რომ დღენიდაც ვ**ამრავლოთ** მიღწეული“ („თბილ.“); „ჩმათ

მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი... ამრავლონ მეცადინეობა მის დიად წინასწარდასახულობათა განსორციელებისათვის“ („კომ.“); „დავიცვათ, ვამრავლოთ, ვახაროთ გარემო“ („კომ.“)...

ყველა დასახელებულ შემთხვევაში ზმნა ამრავლებს უადგილოდ არის ნახმარი; აზრობრივად და მნიშვნელობის მხრივ ვერ ეგუება მასთან დაკავშირებულ სიტყვებს — აბსტრაქტულ სახელებსა და საწყისებს. ცხადია, რომ არც ძლიერების, არც მიღწეულის, არც დედაბუნების, არც ურთიერთობის, არც ღონის, არც დიდებისა და სხვა მათ მსგავსთა გამრავლებაზე ანუ რაოდენობრივ ზრდაზე ლაპარაკი არ შეიძლება. მათ აკი არც ეწარმოებათ საერთოდ მრავლობითი რიცხვის ფორმები. ამიტომ მოყვანილ წინადადებებში ეს ზმნა ან უნდა შეიცვალოს სხვა — კონტექსტისათვის უფრო მართებული ზმნებით (მაგ.: **განამტკიცონ ძლიერება**), ანდა, უმეტეს შემთხვევაში, როდესაც ეს საქმეს ვერ შეელის, მთლიანად ფრაზა უნდა აიგოს სხვაგვარად. აქვე არ არის გამოსარიცხავი რუსული ენის გავლენაც. ჩანს, მსგავს წინადადებებში ზოგჯერ გვაქვს რუსული умножает (приумножает) ზმნათა უხეირო კალკირების ნამუშები.

ამცნობს ზმნა გამოიყენება რაიმე ახალი, მნიშვნელოვანი ამბის შეტყობინების აღსანიშნავად. ნეიტრალური ამბის გადაცემისას ამ ზმნის გამოყენება უმართებულოა. იხ. **უამბობს — მოუთხრობს — მოუყვება**.

ბრ(ბ). მრავალი სხვა ენისაგან განსხვავებით, ქართულში სამი უარყოფითი ნაწილაკი იხმარება: **არ(ა), ვერ(ა) და ნუ(რა)**. ეს ნაწილაკები სხვადასხვა სიტყვას შეეხამება: **ზმნას, სახელს, ზმნისართს, სახელზმნას...** მათ წინ უძღვის და ცალკე ან მათთან შერწყმულად იწერება; **ზმნას** სამივე ნაწილაკი შეეწყობა, მას წინ უძღვის და მუდამ ცალკე დგას. მაგ.: **არ(ა) წერ, ვერ(ა) წერ, ნუ წერ!**

არ, ვერ და ნუ ნაწილაკებს შორის გარკვეული სემანტიკური სხვაობა არსებობს: **ვერ(ა)** მიუთითებს იმაზე, რომ ამა თუ იმ მოქმედების შესრულება სუბიექტს არ შეუძლია; **ნუ** აკრძალვის შემცველ გამოთქმებში იხმარება, ოღონდ არ ნაწილაკთან შედარებით მას უფრო თხოვნითი ნიუანსი აქვს (შდრ.: **არ გააკეთო! — ნუ გააკეთებ!**). რაც შეეხება **არ(ა)** ნაწილაკს, უარყოფით ნაწილაკებს შორის სპეციფიკური დატვირთვის თვალსაზრისით იგი ყველაზე ნეიტრალურია: იხმარება „შესაძლებლობა-შეუძლებლობის ჩვენების გარეშე“ (ქეგლ). ასეთივე მიმართებაა ამ ნაწილაკის შემცველ უარყოფით ნაცვალსახელ-ზმნისართებს შორის. შდრ.: **არავინ — ვერავინ — ნურავინ, არასდროს — ვერასდროს — ნურასდროს...**

1. არ — ვერ. ამ უარყოფით ნაწილაკებს შორის არსებული სემანტიკური სხვაობა ზმნასთან სინტაქსურ ურთიერთობაზედაც ახდენს გავლენას. არ ნაწილაკი (მისი შემცველი ნაცვალსახელ-ზმნისართები-თურთ) თითქმის შეუზღუდავი სინტაქსური თავისუფლებით ხასიათდება: ყოველგვარ ზმნას შეიძლება შეეხამოს — გარდამავალს, გარდაუვალს, ყველა დროისა და კილოს ფორმებს და ა. შ. ვერ ნაწილაკს (და მის შემცველ ნაცვალსახელ-ზმნისართებს) კი ზმნასთან შეხამების უნარი შეზღუდული აქვს: ინმარება მხოლოდ სუბიექტური წყობის ზმნებთან, ინვერსიულ — ობიექტური წყობის ზმნებს გაუბრძის. ეს სხვაობა განსაკუთრებით კარგად ჩანს ერთი და იმავე ძირის შემცველ სხვადასხვა წყობის ზმნებთან ან სხვადასხვა ძირის მქონე სინონიმურ ზმნებთან შეხამებისას. შდრ.: არ შემეძლო (და არა: ვერ შემეძლო), მაგრამ ვერ შევძელი; არ მესმის (და არა: ვერ მესმის) ყურით, გონებით, მაგრამ ვერ ვიგებ; ნამყოში: ვერ გავიგონე (ყურით), ვერ გავიგე (გონებით).

ვერ ნაწილაკის ეს თავისებურება შეპირობებულია იმიტომ, რომ ქართულში არსებობს პარალელური სისტემა ერთისა და იმავე ძირის შემცველი ორი სხვადასხვა აგებულების — სუბიექტური და ობიექტური წყობის (ამასთანავე, სტატიკური და დინამიკური) ზმნებისა: ის ურს — ვისურვებ, მინდა — ვინდომებ, მეშინია — ვშინდები, მიყვარს — ვიყვარებ, მექნება — ვიქონიებ, მეყოლება — ვეყოლიებ, მესმის — ვისმენ და მისთ. პირველი რიგის ზმნებთან შეწყობილი სუბიექტი პასიურია. ვინაიდან ვერ ნაწილაკი პოტენციის უქონლობაზე მიუთითებს, პოტენცია კი მხოლოდ აქტიურ სუბიექტს მოეთხოვება, გასაგები ხდება, თუ რატომ შეეწყობა ეს ნაწილაკი მხოლოდ სუბიექტური წყობის ზმნებს.

3. არ(ა) ნაწილაკი და მისი შემცველი ნაცვალსახელ-ზმნისართები სემანტიკურად ნეიტრალურია ვერ და ნუ ნაწილაკებთან შედარებით, მაგრამ ზმნის ზოგიერთ ფორმასთან შეხამებისას მის ნეიტრალურობაზე ლაპარაკი გაჭირდებოდა. კერძოდ, ეს ეხება არ ნაწილაკის შეხამებას ნამყო სრულის ფორმასთან. მაგ.: არ წავიდა ნიშნავს არა უბრალოდ ვისიმე წაუსვლელობას, არამედ ხაზს უსვამს წაუსვლელობის სურვილს, უფრო ზუსტად — საგანგებოდ, განზრახ წაუსვლელობას, და ნათქვამსაც მეტ კატეგორიულობას სძენს. არ(ა) ნაწილაკის გარეშე ზმნის ნამყო სრულის ფორმა დადებით, წართქმით კონსტრუქციაში (იქნება ის თბრობითი თუ კითხვითი წინადადება) ამგვარ ნიუანსებს არ ავლენს, — ნეიტრალურია (მაგ.: წახვედი? — წავედი).

უკუთქმით კონსტრუქციაში ნეიტრალური უარყოფის შინაარსის შესანარჩუნებლად ნამყო სრულს რეზულტატიური — თურმეობითის (I ან II) ფორმა ენაცვლება. აღნიშნულ ნიუანსებს თვალსაჩინოს

ხდის ამგვარი დიალოგი: — დავალემა დაწერე? — არ დამიწერია. — არ დაწერე თუ ვერ დაწერე? — არ დავწერე: შენ გიცდიდი, რომ ერთად დაგვეწერა.

უარყოფით პასუხებში კარგად ჩანს მოქმედების შეუსრულებლობის ნიუანსობრივი სხვაობა: თურმეობითის ფორმით (არ დამიწერია) უარყოფითი, ნეგატიური ინფორმაცია — მოქმედების შეუსრულებლობა — ნეიტრალურადაა მოწოდებული, ხოლო ნამყო სრულის ფორმით გადმოცემული (არ დავწერე) იგივე ინფორმაცია თავისი ხასიათით არანეიტრალურია: მასში ხაზგასმულია მოქმედების შეუსრულებლობის განზრახვითობა. ამის ილუსტრაციად შეიძლება გამოდგეს ეს მაგალითები: „ტრამვაიში მგზავრმა ბილეთი არ შეიძინა. ისე, უბილეთოდ იმგზავრა“ („თბილ.“). ფაქტის ნეიტრალურად გადმოსაცემად საჭირო იყო: არ შეუძენია, მაგრამ შემდგომი კონტექსტი (ისე, უბილეთოდ იმგზავრა) ნათელს ხდის მოქმედების განზრახვითობას. სხვა მაგალითი: „ქუჩაში ორი კვირით ადრე დანით დაემუქრა გამვლელს და გაზადა მას ტყავის პალტო. დაზარალებულმა ეს ამბავი მილიციას არ შეატყობინა“ (ე. ი. მუქარამ შეაშინა და განზრახ არ შეატყობინა მილიციას) („თბილ.“). ვინაიდან ორსავე მაგალითში ხაზი ესმება მოქმედების განზრახვით შეუსრულებლობას, შეხამებები — არ შეიძინა, არ შეატყობინა — ამ კონტექსტებში სწორ კონსტრუქციებად შეიძლება იქნეს მიჩნეული.

მაშასადამე, ბუნებრივი თხრობისას ნეიტრალური უარყოფითი პასუხის გასაცემად არ(ა) ნაწილაკი და მისი შემცველი უარყოფითი ნაცვალსახელ-ზმნისართები უნდა ვინმართ თურმეობითების ფორმებთან. სწორი ხმარების მაგალითებია: „თვესა ერთსა სულეერი კაცი არსად არ ენახა“ (რუსთ.); „...თითქოს იმის თმას თავის დღეში არც წყალი მოხვედროდა და არც სავარცხელი“ (ილია); „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს“ (აკაკი); „აქა კაცი ხორციელი კვლა ყოფილა არაოდეს“ (რუსთ.); „იმათი თვალით ლაპარაკი არავის შეუმიწევია“ (ე. ნინოშ.).

ამიტომ არამართებულად უნდა იქნეს მიჩნეული ამგვარ კონტექსტებში ნამყო სრულის ფორმების ხმარება: „დიდხანს არ დაცხრა [უნდა იყოს: არ დამცხრა] ტაში“ („თბილ.“); „არაერთხელ დაუშვა [უნდა იყოს: მოსვლია...] უხეში შეცდომა, ...არაერთხელ უარყო [სწორია: უარუყვია] თავისი უწინ გამოთქმული შეხედულებები“ („მნათ.“); „მეორედ კვლავ ქურდობისათვის გაასამართლა იმავე სასამართლომ..., მაგრამ ავკაცობას თავი შინც არ დაანება [უნდა იყოს: ავკაცობისათვის თავი მაინც არ დაუნებებია] და მორიგი ქურდობა როსტოვში ჩაიღინა“ („კომ.“); სწორი ხმარებისათვის შდრ. იქვე:

„...გამოსწორებაზე არ უფიქრია და ისევე ქურდბაცაცობის გზას დაადგა“. არ და ვერ ნაწილაკების ეს ნიუანსობრივი სხვაობა ნამყო სრულთან შეხამებისას განსაკუთრებით კარგად ჩანს, როცა კონტექსტში ორივეა მოცემული ერთმანეთის გვერდით, ერთ ზმნასთან შეხამებული. მაგ.: „სამწუხაროდ, ყველამ ვერ (თუ — არ) ისარგებლა ამ შემთხვევით და შეკითხვებზე არ გვიბასუხა“ („სკ. და ცხოვრ.“); „მან ეს ყველაფერი ვერ დაინახაო, ამის დაჯერება არ შეიძლება; არ დაინახაო — ამის დაჯერება ჩვენ არ გვინდა“ („სკ. და ცხოვრ.“), ორივეგან ნამყო სრულთან შეხამებული არ ნაწილაკი დანიშნულებისამებრ არის ნახმარი.

წართქმითი და უკუთქმითი კონსტრუქციების შემცველ ერთსა და იმავე კონტექსტში ნამყო სრულისა და თურმეობითის სწორი მონაცვლეობისათვის იხ. შემდეგი ნიმუშები: „დედამიწაზე ცოცხალი ორგანიზმი მხოლოდ ერთხელ წარმოიშვა თუ... მასზე არაერთხელ წარმოშობილან ორგანიზმები? („ბიოლ.“); „შიშველთესლოვანი მცენარეები სწრაფად გადაშენდნენ“, — იქვე: „...მცენარეები არ გადაშენებულა“ („ბიოლ.“).

შენიშვნა: გაზ. „კომუნისტში“ პერიოდულად ქვეყნდება ლატარის მოგებათა ტირაჟის ოფიციალური ცხრილები. რომლებიც უკანასკნელ ხანებამდე იბეჭდებოდა ასე: „ნახეთ, ხომ არ მოიგეთ?“ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის რეკომენდაციით ვაზეთის რედაქციამ არამართებული ტრაფარეტი ასე გაასწორა: „ნახეთ ხომ არ მოვიგიათ?“ („კომ.“, 28.XI.1983 და შმდ.).

არაბანონზომიერი — არაბანონიერი. ამ სიტყვათა სემანტიკას ერთი ფუძის სხვადასხვა მნიშვნელობა განსაზღვრავს, როც კონტექსტში ყოველთვის არ არის გათვალისწინებული, იხ. კანონზომიერი — კანონიერი.

ბრის (-ბ), იპო. არის ზმნა, რომელიც ნიშნავს: არსებობს, მოიპოვება; წინადადებაში უმეტესად შედგენილი შემასმენლის ზმნურ წევრად გამოიყენება და, ამასთან, ხშირად შეკვეცილი — ა ხმოვნის სახით არის წარმოდგენილი: „ცოდნა ხიმლიდრეა, ცოდნა ხერხია, ეხლანდელ დროში ცოდნა ყველაფერია“ (ილია); „ქუხილი წვიმის მომასწავებელია“ (ავა); „შოშია ლამაზი ფრინველია“ (ი. გოგბ.)....

ანალოგიური მდგომარეობაა იყო ზმნის გამოყენების მხრივაც, რომელიც წინადადებაში ძალიან ხშირად აგრეთვე შედგენილი შემასმენლის ზმნური წევრის ფუნქციით იხმარება და სემანტიკურად დაკავშირებულია ყოფნასთან, არსებობასთან ნამყო დროში: „მამაჩემი

თავის დროზე განთქმული მოქადრაკე იყო“ (აკაკი); „წყალი საშინლად ცივი იყო“ (ვაჟა); „ონისე არაბული გელას მეზობელი იყო“ (ა. ყაზბ.)...

მაგრამ ზოგჯერ არის (-), იყო მეშველშმნებიანი შედგენილი შემასმენელი ქართულისათვის უჩვეულო კონსტრუქციის ქმნის. ეს, ძირითადად, ის შემთხვევებია, როდესაც წინადადებაში შედგენილი შემასმენელი ახლავს საწყისით გამოხატულ ქვემდებარეს. ასეთი გამოთქმებია: დიდია თავდადება, დიდია დამახინჯება, მცირეა გაჭუჭყიანება, საუკეთესოა გახარება, გაღრმავებულია მიცემა... ზრდა-განვითარება ნელი იყო, გავრცელება ხშირი იყო და სხვ.

ასეთი გამოთქმები ქართულისათვის არაბუნებრივი და სტილისტიკურად მიუღებელია, — ხშირად უმართებულო კალკებია. ჩვეულებრივ, მოქმედებისა თუ მდგომარეობის გამოსახატავად მსგავს სიტუაციაში სხვა საშუალებები გამოიყენება, ძირითადად, — ქვემდებარის გამომხატველ სახელთან საერთო ძირის მქონე ზმნა-შემასმენელი.

ამიტომ ამ მხრივ დასახვეწი და გასამართავია შემდეგი წინადადებები: „დიდია აგრეთვე ფართობების დამახინჯებაც [უნდა იყოს: მეტისმეტადაა, ძალიანაა დამახინჯებული, მახინჯდება ფართობებიც]“ („ისგ სკოლაში“); „დიდია აგრეთვე მდინარე მტკვრის გაჭუჭყიანება გაუქმენდავი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და საწარმოო წყლებით [უნდა იყოს: ძალიან, მეტისმეტად არის გაჭუჭყიანებული, ჭუჭყიანდება, აგრეთვე, მდინარე მტკვარი...]“ („თბილ.“); „განსაკუთრებით დიდია მოწყობილობის მოცდენები [უნდა იყოს: განსაკუთრებით ხშირად ცდება, უმოქმედოდ არის მოწყობილობა]“ („საქ. კომ.“); „ამ საქმეში დიდია მეცხოველეების ამირან ხუჭუას... და სხვათა თავდადება [უნდა იყოს: განსაკუთრებით თავდადებულად, განსაკუთრებული თავდადებით შრომობენ მეცხოველეები...]“ („განთ.“, ვანი); „მექანიკური წველის დროს კი [რძის] ბაქტერიებით გაჭუჭყიანება გაცილებით მცირეა [უნდა იყოს: [რძე] ბაქტერიებით გაცილებით ნაკლებად ჭუჭყიანდება]“ („საბჭ. მედ.“); „გულს ახარებს... შავი ფიჭვის კულტურა, რომლის გახარება საუკეთესოა [უნდა იყოს: რომელმაც კარვად გაიხარა]“ („საქ. ბუნ.“); „მასში საგრძნობლად გაფართოებული და გაღრმავებულია ბავშვებისათვის ცოდნის მიცემა... [უნდა იყოს: იგი საგრძნობლად უფრო ფართო და ღრმა ცოდნას აძლევს ბავშვებს...]“ („ისგ სკოლაში“); „...ერთ-ერთი 127 წლის სოჭის ზრდა-განვითარება 60 წლამდე მეტად ნელი იყო [უნდა იყოს: ერთ-ერთი სოჭი მეტად ნელა იზრდებოდა და ვითარდებოდა]“ („საქ. ბუნ.“); „გარეული ცხოველების მოსპობა მეტად საგრძნობი იყო მეფისდროინდელ რუსეთში [უნდა იყოს: გარეულ ცხოველებს განუკითხავად, ერთიანად

სპობდნენ მეფისდროინდელ რუსეთში* („საქ. ბუნ.“); „**ხშირი იყო...** ბალახოვანი საფარის დიდ ფართობებზე **გავრცელება** [უნდა იყოს: ბალახოვანი საფარი ხშირად დიდ ფართობებზე ვრცელდებოდა || იყო გავრცელებული]“ („საქ. ბუნ.“); „**ხშირი იყო** მათ შორის **კინკლაობა** და გაუმართლებელი ცილისმწამებლური სიტყვებით **მიმართვა** [უნდა იყოს: ისინი ხშირად კინკლაობდნენ და ერთმანეთს ცილისმწამებლური სიტყვებით მიმართავდნენ]“ („გამარჯვ. ღროშა“).

არცთუ მოზრდილი. ანტონიმურ ზედსართავეებსა და ზმნისართებს (**დიდი — პატარა, გრძელი — მოკლე...**, **ხშირად — იშვიათად, საფუძვლიანად — უსაფუძვლოდ...**) ხშირად უკავშირდება უარყოფითი ნაწილაკი **არცთუ**. მისი დართვა სხვადასხვაგვარ სემანტიკას ქმნის ამ ორი რიგის სიტყვებთან, სახელდობრ, დიდი ზომის, მეტი რაოდენობის, მეტი ძალის (სიძლიერის)... გადმომცემ ზედსართავეებსა და ზმნისართებზე **არცთუ-ს** დართვა ამ ზედსართავით (ან ზმნისართით) გადმოცემული თვისების ნაკლებ ხარისხს (სიდიდეს, რაოდენობას...) ასახავს, ხოლო ნაკლები ზომის, ნაკლები რაოდენობის, ნაკლები ძალის (სიძლიერის)... გადმომცემ ზედსართავეებზე **არცთუ-ს** დართვა ამ ზედსართავით აღნიშნულ თვისებებზე მეტს (უფრო ძლიერს) გულისხმობს. მაგ.: **არცთუ დიდი** — დიდზე პატარა, დიდზე ნაკლები, არც მთლად დიდი, არც ისე დიდი; **არცთუ პატარა** — პატარაზე დიდი, არც ისე პატარა, არც მთლად პატარა, მოდიდო; **არცთუ გრძელი** — გრძელზე ნაკლები, არც მთლად გრძელი, არც ისე გრძელი, გრძელზე მოკლე; **არცთუ მოკლე** — მოკლეზე გრძელი, არც მთლად მოკლე; არც ისე მოკლე — მოგრძო; **არცთუ ხშირი** — ხშირზე უფრო იშვიათი, არც ისე ხშირი; **არცთუ იშვიათი** — იშვიათზე ხშირი, იშვიათზე მეტი, არც ისე იშვიათი... მაგ.: „**არცთუ იშვიათია** დღე, როცა ფული არა მაქვს“ (ს. კლდ.); **არცთუ ახლო** — არც ისე ახლო, ცოტა უფრო შორი; **არცთუ შორი** — არც ისე შორი. მაგ.: „**ისე** მომეჩვენა, თითქოს იქამდე **არცთუ შორი იყო**“ (ს. კლდ.); **არცთუ კარგად** — კარგზე უარესად, არც ისე კარგად, არც ძალიან კარგად; **არცთუ ცუდად** — ცუდზე უკეთესად, არც ისე ცუდად, მაგ.: „ერთ დროს ფეხბურთს მეც ვთამაშობდი და **არცთუ ცუდად**“ (ვ. ურჯუმ.); **არცთუ რიგიანად** — არც ისე კარგად, რიგიანზე ნაკლებად. მაგ.: „ჩვენ ორთავენი **არცთუ რიგიანად** ვთამაშობდით ბილიარდს“ („სოფლ. ცხოვრ.“) და სხვ.

არცთუ-ს ზოგჯერ ემატება ისე, მთლიანად. მაგ.: „შარლ დე კოსტერის წიგნი დღეს **არცთუ ისე დიდი** პოპულარობით სარგებლობს“ (რ. ჯაფ.); „**ისე** ხედავდა პილარი მას, ფინიტის, **არცთუ ისე კარგ** მატადორს“ („ხომლი“).

არცთუ ზმნებსაც ერთვის ზოგჯერ და ნიშნავს: არც ისე, არც მანცდამაინც. მაგ.: „ცივი უჩვენა და არცთუ ვაშა“ (ს. კლდ.); „ჩანს ეს ამბავი არცთუ სიამოვნებდა ქუთათურებისა ნაწილს“ (ს. კლდ.).

არცთუ ნაწილაკის დართვას ოღნაობითი შინაარსი შეაქვს ზედსართავებში. ამიტომ ოღნაობით ფორმებზე (მოდილო, მომცრო, მომსხო, მომალლო, მოზრდილი...) მისი დართვა უკვე აღარ არის საჭირო. იგი ზედმეტია, მაგ., შემდეგ წინადადებაში: „არცთუ მოზრდილ [უნდა ყოფილიყო: არცთუ დიდ, ან: მომცრო] კაბინეტში... სურათები ეკიდა“ („ცისკ.“).

ატარებს აქტიური შინაარსის გარდამავალი ზმნაა. მისი ძირითადი მნიშვნელობაა სუბიექტის მიერ ობიექტის გადაადგილება დროში ან სივრცეში. ამგვარი მოქმედების ობიექტად, ჩვეულებრივ, კონკრეტული სახელი გამოიყენება. მაგ.: „ერთხელ სპილოს საჩვენებლად ქუჩა-ქუჩა ატარებდნენ“ (აკაკი). გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებისას მოქმედების ობიექტად განყენებული სახელი იხმარება: „ომის ვეტერანი სოფელ მარინოვკაში ატარებს ტბილ სიბერეს“ („სოფ. ცხოვრ.“).

უკანასკნელ ხანს სალიტერატურო ქართულში ატარებს ზმნამ საკმაოდ გაიფართოვა ხმარების არე.

ამ ზმნის სემანტიკურ ფუნქციებს განსაზღვრავს მისი უზმნისწინო და ზმნისწინიანი ფორმების ხმარება.

1. ატარებს ზმნის უზმნისწინო ფორმების ხმარებასთან დაკავშირებით შეინიშნება ორი სახის დარღვევა:

ა. ატარებს სათვალეს, ტანსაცმელს... ზმნა ატარებს, კარგა ხანო, რაც დაუკავშირდა ადამიანის ზოგიერთი პირადი მოხმარების საგნის აღმნიშვნელ სახელებს. ეს ისეთი საგნებია, რომელთაც ადამიანი ყოველდღიურად ხმარობს და თან დააქვს (ზედ სხეულზე აქვს). ამ ფაქტს უნდა შეეწყოს ხელი ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, სათვალის, საათის ხმარების აღსანიშნავად ატარებს ზმნის გამოყენებისათვის, მაგ.: „ნუ უგულბებლყოფთ ექიმის რჩევას და კითხვის, წერის ან ხელსაქმის დროს ატარეთ [უნდა იყოს: გაიკეთეთ, იხმარეთ, გამოიყენეთ] სათვალე“ („კომ.“). სათვალის ძირითადი დანიშნულებაა ხედვით გაუმჯობესება (თვალისათვის ხელის შეწყობით) და მოყვანილ კონტექსტში ექიმის რჩევაც სათვალის უბრალოდ თან ქონის, მის ტარებას კი არ გულისხმობს, არამედ მის გამოყენებას, დანიშნულებისამებრ ხმარებას. სწორედ ამიტომ სათვალის ტარება გაუმართავი შეხიტყვებაა. ასევე: „მისი კოლეგა „თბილქალაქგაფორმების“ კომბინატიდან — ქალაქის მთავარი მესაათე გენადი აკოპიანი საათს პრინციპულად არ ატარებს [უნდა იყოს: შეგნებულად არ ხმარობს, არ იკეთებს]“ („თბილ.“).

აღნიშნული შინაარსის გამოსახატავად ქართულს საგანგებო ზმნური ფორმები მოეპოვება (ე. წ. სტატიკური ზმნები): აცვია (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი), ახურავს (ქუდი), უკეთია (საათი, სათვალე, მძივი, სამაჯური, ბეჭედი...). ამიტომ ყოველი კონკრეტული სახელისათვის, რომლისთვისაც უმართებულოდ ხმარობენ ზოგად ატარებს ზმნას, რომელიმე ამ ზმნათაგანი უნდა იქნეს გამოყენებული.

ბ. ატარებს ავტომანქანას. ეს შეხამება შესაძლებელი გახდა სივრცეში სუბიექტისა და ობიექტის ერთად გადაადგილების შინაარსმა, რომელსაც ატარებს ზმნა მოიცავს. შეიქმნა ასეთი შესიტყვებები: ავტომანქანას ატარებს, მატარებელს ატარებს, ავტობუსს ატარებს და მისთ. მაგრამ, ამასთან, ატარებს ზმნაში, განსხვავებით მიჰყავს, მართავს ზმნებისაგან, რომლებიც გააზრებული, შეგნებული მოქმედების ნიუანსს შეიცავენ, ხაზგასმულია მოქმედების მექანიკური ხასიათი, — მხოლოდ გადაადგილება და მეტი არაფერი. ამიტომ შეგნებული მოძრაობა-გადაადგილების აღსანიშნავად ატარებს ზმნის გამოყენება უმართებულო ჩანს. ნაცვლად გამოთქმისა ავტომანქანას ატარებს უნდა იხმარებოდეს ავტომანქანას მართავს; ნაცვლად გამოთქმისა მატარებელს ატარებს — მატარებელი მიჰყავს და ა. შ. შდრ.: „იგი მთვრალი ატარებდა [უნდა იყოს: მართავდა] იკარუსს... ავტონისპექტორებმა დროზე აღკვეთეს მისი თარეში“ („თბილ.“).

2. გაატარებს ზმნის ხმარებასთან დაკავშირებული დარღვევები, ჩვეულებრივ, აბსტრაქტული ცნებების აღმნიშვნელ სახელებთან შეხამებისას იჩენს თავს.

ა. გაატარებს პრაქტიკას. დროსა და სივრცეში გადაადგილების სემანტიკის გამო გატარება ზმნამ (გაატარებს, გაატარა...) შეითავსა გავლის მნიშვნელობაც: „სასწავლებლის ხელმძღვანელობა ცდილობს, რომ მოსწავლეებმა საწარმოო პრაქტიკა ისეთ საწარმოებში გაატარონ [უნდა იყოს: გაიარონ], სადაც მეტი გამოუმუშავების შესაძლებლობაა“ („სკ. და ცხოვრ.“). გატარება ზმნის ამგვარ ხმარებას ხელს უნდა უწყობდეს ორი გამოთქმის — პრაქტიკას ჩაატარებს და პრაქტიკას გავლის — კონტამინაცია.

ბ. გაატარებს ზომებს. ზომები მრავლობითი რიცხვის ფორმაა ზომა სახელისა, რომლის პირდაპირი მნიშვნელობა ემიჯნება გადატანითს სწორედ რიცხვის მეშვეობით: მრავლობითში დასმული ეს სახელი — ზომები — მიიღებს ზმნასთან ქმნის მყარ გამოთქმას და ამ შემთხვევაში მას მხოლოდობითი ფორმა ვერ ენაცვლება.

არაპირდაპირი მნიშვნელობით ნახმარ ამ სახელურ ფორმასთან (ზომები) შინაარსობრივად ახლოს დგას სიტყვა ღონისძიება და რიგ შემთხვევაში ისინი საესებით იდენტური ლექსიკური მნიშვნელობით

კლინის პიონერთა სახლი ატარებენ [უმჯობესია: მართავენ, აწყობენ] ბავშვთა საუკეთესო ნახატების კონკურსს“ („ახ. კომ.“); „სკოლაში.. ჩატარდა [უმჯობესია: გაიმართა, მოეწყო] საუბრები, მოხსენებები ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გარშემო“ („განთ.“ ეანი); „გასულ თვეში გურჯაანში ჩატარდა [უმჯობესია: გაიმართა, მოეწყო] მე-5 სპარტაკიადით გათვალისწინებული აღმოსავლეთის ზონალური პირველობა ქართულ ჭიდაობაში“ („გამარჯვ.“); „გაზაფხულის მზე მოთხილამურეებს აიძულებს თავმსათფარი პოლარული წრის მიღმა ეძიონ. წლებანდელი ზამთრის უკანასკნელი სტარტები სწორედ იქ ჩატარდება [უმჯობესია: გაიმართება]“ („ლელო“).

საუბრები, საღამო, კონკურსი... ღონისძიებათა სახეებია, ხოლო ღონისძიება, თუ იგი კულტურული დანიშნულებისაა, შესიტყვებაში იღუებს არა ატარებს ზმნას, არამედ მართავს, აწყობს ზმნებს. თუ ღონისძიება ეკონომიკური, სამეურნეო, პოლიტიკური... ხასიათისაა, მხოლოდ მაშინ შეეხამება (ისიც არა ყოველთვის) იგი ატარებს ზმნას. ეს აზრობრივ-სემანტიკური ნიუანსები განსაკუთრებით კარგად ჩანს პასიურ კონსტრუქციაში. აშკარა დარღვევაა და იშვიათად იხმარება: კონკურსი, ღონისძიება (კულტმასობრივი) ტარდება. სანაგებროდ, ხშირად გვხვდება ამგვარი შესიტყვება: „მეურნეობაში დიდი ღონისძიებები ტარდება ამინდისაგან მიყენებული ზარალის აღმოსაფხვრელად“ („სოფლ. ცხოვრ.“).

ბ. ჩაატარებს ხვნას, კვებას, მუშაობას... უკანასკნელ ხანს განსაკუთრებით გახშირდა ატარებს, ტარდება სიტყვათა გამოყენება დამხმარე, მეშველი ზმნის ფუნქციით. როგორც ჩანს, გადაადგილების, პროცესულობის შინაარსმა შეუწყო ხელი ატარებს ზმნის ამ ფუნქციის განვითარებას. სხვადასხვა მოქმედების სახელთან დაწყვილებული ატარებს, ტარდება ზმნები პროცესულობის სემანტიკას ანიჭებენ ამ მოქმედების სახელებს, საკუთარი ზმნური შინაარსი კი ეკარგებათ. ატარებენ და ტარდება: შეკეთება, მარგვლა, გამოკვება, მუშაობა, მონაწილეობა, დაცვა, ხვნა, თესვა, რწყვა, კვება, კითხვა, შემოვლა, დანომვრა, დამუშავება, გაწმენდა, წამლობა, შეთეთრება, ვარდაქმნა, გაფხვიერება, მიღება-შენარჩუნება (ბატონისა), მოსწორება, შეკეთება, ბრძოლა, რემონტი... მაგ.: „იგი ყოველთვის აგროვადებში ატარებს ვენახის დამუშავებას [უნდა იყოს: ამუშავებს ვენახს]“ („ჭიათ. მალ.“); „გამოცდილი მექანიზატორის მეთაურობით გასულ წელს 200 ჰექტარ ჩაის პლანტაციაში ჩატარდა ნიადაგის გაფხვიერება, სასუქის შეტანა [უნდა იყოს: გააფხვიერეს ნიადაგი, შეიტანეს სასუქი]“ („სოფლ. ცხოვრ.“); „მცენარეთა დარგვა ტყის ზოლებში ადრე გაზაფხულზე ჩაატარეს [უნდა იყოს: მცენარეები... დარგეს]“ („საქ ბუ.ნ.“); „200

ნაკლოვანებათა უსწრაფესად გამოსწორებისათვის“ („კომ.“); „რედაქცია იმედოვნებს... საწარმოო გეოთიანების ხელმძღვანელობა სათანადოდ **ზომებს მიმართავს** ავტომანქანის... მძღოლის პროცენტების დასაღვენად“ („ახ. კომ.“); „ისინი [არაბები] ყოველგვარ **ზომებს ხმარობდნენ**, რომ ქართველებში თავიანთი სარწმუნოება გაეცრელებინათ“ („ქართ. ლიტ.“).

ამ კონტექსტებში სათანადოდ შინაარსის გამოსახატავად—გარკვეული გზების დასახვის, გეგმა-პროექტის (პროგრამის, ღონისძიების...) შემუშავების შინაარსის გადმოსაცემად სახელთან — **ზომები** — ერთადერთი ზმნა მიიღებს უნდა იხმარებოდეს, ხოლო სახელთან — **ღონისძიება** — შეხამებადი ზმნების რიცხვი ასე შეზღუდული არ არის.

3. ჩაატარებს ზმნა უმართებულო შესიტყვებებს ქმნის იმ შემთხვევებში, როდესაც მასთან დაკავშირებულია საწყისი ან შინაარსობრივად მისი მსგავსი სახელი, აბსტრაქტული ცნების გამომხატველი.

ა. ჩაატარებს კონკურსს. ატარებს ზმნით აღნიშნული გადაადგილება სუბიექტის აქტიური მოქმედების შედეგია, — სუბიექტი გადაადგილებს ობიექტს. ამიტომ **ატარებს** ზმნას თავისი ძირითადი მნიშვნელობით ვნებითი (**ტარდება**) არ უკეთდება. ვნებითურ ფორმებს **ტარება** ზმნა იგუებს მხოლოდ და მხოლოდ ძირითადი მნიშვნელობისაგან დაცლისა და მეშველი ზმნის ფუნქციით გამოყენების შემთხვევაში.

აღნიშნული ზმნის ამგვარ გაცვეთაზე გარკვეულად რუსული ენის გავლენაც მოქმედებს. ქართული **ტარება** ზმნის შესატყვისი რუსულში, ზოგ სხვა ზმნასთან ერთად, არის: нести, провести. იგი იხმარება როგორც გადაადგილების მნიშვნელობით, ასევე სხვადასხვა ღონისძიების გამართვის, მოწყობის აღსანიშნავადაც. მაგ.: Я хорошо провел лето—ზაფხული კარგად გავატარე. Он провел меня через черный ход—მან უკანა კარიდან შემეყვანა (გამატარა); მაგრამ: Футболисты провели контрольный матч — ფეხბურთელებმა საკონტროლო მატჩი გამართეს. მაშასადამე, რუსულ ზმნას провести შესატყვისება როგორც ქართული **ტარება**, ისე **გამართვა**. სწორედ რუსულის გავლენას უნდა მიეწეროს ღონისძიებათა მოწყობის, მიმდინარეობის აღსანიშნავად უკანასკნელ ხანს ქართულში **ატარებს**, **ტარდება** ფორმათა მოძალება **გამართავს**, **იმართება**, **აწყობს**, **ეწყობა** ფორმათა ნაცვლად. შდრ.: „იგი სისტემატურად **ატარებს** [უმჯობესია: მართავს, აწყობს] მოსწავლეებთან საყოფაცხოვრებო ხასიათის საუბრებს“ („გამარჯ.“); „რამდენჯერმე ჩავატარეთ [უმჯობესია: გავმართეთ] ისტორიის საღამო“ („ისგ სკოლაში“); „რუსეთის სფს რესპუბლიკის მხატვართა კავშირი, კლინის პ. ი. ჩაიკოვსკის სახელმწიფო მუზეუმი და

კლინის პიონერთა სახლი ატარებენ [უმჯობესია: მართავენ, აწყობენ] ბავშვთა საუკეთესო ნახატების კონკურსს“ („ახ. კომ.“); „სკოლაში.. ჩატარდა [უმჯობესია: გაიმართა, მოეწყო] საუბრები, მოხსენებები ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გარშემო“ („განთ.“ ეანი); „გასულ თვეში გურჯაანში ჩატარდა [უმჯობესია: გაიმართა, მოეწყო] მე-5 სპარტაკიადით გათვალისწინებული აღმოსავლეთის ზონალური პირველობა ქართულ ჭიდაობაში“ („გამარჯვ.“); „გაზაფხულის მზე მოთხილამურეებს აიძულებს თავშესაფარი პოლარული წრის მიღმა ეძიონ. წლებანდელი ზამთრის უკანასკნელი სტარტები სწორედ იქ ჩატარდება [უმჯობესია: გაიმართება]“ („ლელო“).

საუბრები, საღამო, კონკურსი... ღონისძიებათა სახეებია, ხოლო ღონისძიება, თუ იგი კულტურული დანიშნულებისაა, შესიტყვებაში იღუებს არა ატარებს ზმნას, არამედ მართავს, აწყობს ზმნებს. თუ ღონისძიება ეკონომიკური, სამეურნეო, პოლიტიკური... ხასიათისაა, მხოლოდ მაშინ შეეხამება (ისიც არა ყოველთვის) იგი ატარებს ზმნას. ეს აზრობრივ-სემანტიკური ნიუანსები განსაკუთრებით კარგად ჩანს პასიურ კონსტრუქციაში. აშკარა დარღვევაა და იშვიათად იხმარება: კონკურსი, ღონისძიება (კულტმასობრივი) ტარდება. სანაგებროდ, ხშირად გვხვდება ამგვარი შესიტყვება: „მეურნეობაში დიდი ღონისძიებები ტარდება ამინდისაგან მიყენებული ზარალის აღმოსაფხვრელად“ („სოფლ. ცხოვრ.“).

ბ. ჩაატარებს ხვნას, კვებას, მუშაობას... უკანასკნელ ხანს განსაკუთრებით გახშირდა ატარებს, ტარდება სიტყვათა გამოყენება დამხმარე, მეშველი ზმნის ფუნქციით. როგორც ჩანს, გადაადგილების, პროცესულობის შინაარსმა შეუწყო ხელი ატარებს ზმნის ამ ფუნქციის განვითარებას. სხვადასხვა მოქმედების სახელთან დაწყვილებული ატარებს, ტარდება ზმნები პროცესულობის სემანტიკას ანიჭებენ ამ მოქმედების სახელებს, საკუთარი ზმნური შინაარსი კი ეკარგებათ. ატარებენ და ტარდება: შეკეთება, მარგვლა, გამოკვება, მუშაობა, მონაწილეობა, დაცვა, ხვნა, თესვა, რწყვა, კვება, კითხვა, შემოვლა, დანომვრა, დამუშავება, გაწმენდა, წამლობა, შეთეთრება, ვარდაქმნა, გაფხვიერება, მიღება-შენარჩუნება (ბატონისა), მოსწორება, შეკეთება, ბრძოლა, რემონტი... მაგ.: „იგი ყოველთვის აგროვადებში ატარებს ვენახის დამუშავებას [უნდა იყოს: ამუშავებს ვენახს]“ („ჭიათ. მალ.“); „გამოცდილი მექანიზატორის მეთაურობით გასულ წელს 200 ჰექტარ ჩაის პლანტაციაში ჩატარდა ნიადაგის გაფხვიერება, სასუქის შეტანა [უნდა იყოს: გააფხვიერეს ნიადაგი, შეიტანეს სასუქი]“ („სოფლ. ცხოვრ.“); „მცენარეთა დარგვა ტყის ზოლებში ადრე გაზაფხულზე ჩაატარეს [უნდა იყოს: მცენარეები... დარგეს]“ („საქ ბუ.ნ.“); „200

პექტარზე ჩაატარეს ძირების გამოთოხნა [უნდა იყოს: გამოთოხნეს ძირები]“ („გამარჯვ. დრ.“); „ვერვასი ჩიტაძე... მზრუნველობას არ აკლებს ნარგავებს, დროულად უტარებს მათ წამლობას [უნდა იყოს: დროულად წამლავს მათ]“ („ლენ. დროშა.“); ატარებენ სარეველების ფესურებისა და სხვა ნარჩენებისაგან გაწმენდასა და ზედაპირის მოწორებას [უნდა იყოს: წმენდენ და ზედაპირს ასწორებენ]“ („სოფლ. ცხოვრ.“); „ამ მიზნით პირველ მორწყვას ადრე გაზაფხულზე ატარებენ [უნდა იყოს: პირველად ადრე გაზაფხულზე რწყავენ]“ („სკ. და ცხოვ.“); „სახლში ძალზე ცუდად ჩაატარეს შეკეთება [უნდა იყოს: სახლი ძალზე ცუდად შეაკეთეს]“ („თბილ.“); „ინსტიტუტი მუშაობას ატარებს [უნდა იყოს: მუშაობს] არა მარტო მასწავლებლებთან, არამედ მოსწავლეებთანაც“ („სკ. და ცხოვრ.“); „ორივე ტრაქტორისტმა საიუბილეო წლის 20 თებერვლისათვის მზრალად ხვნა უკვე 205 პექტარ ფართობზე ჩაატარეს [უნდა იყოს: მზრალად მოხნა ფართობი]“ („გამარჯვ.“); „სისტემატურად ატარებენ გზების რემონტს [უნდა იყოს: არემონტებენ]“ („საქ. ბუნ.“) და მისთ.

აუღის ზმნას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. ერთ-ერთია: ჰყოფნის, აკმაყოფილებს, რაიმე საქმეს ერევა. მაგრამ ამ მნიშვნელობით იგი ბუნებრივ შესიტყვებებს ქმნის მხოლოდ უარყოფით ნაწილაკთან. ამასთან, იგუებს მარტოდენ ვერ (ველარ) ნაწილაკს. შესაბამისად, ფრაზაც უკუთქმითი შინაარსისა იქნება. ვერ აუღის, ვერ აუვიდა ნიშნავს: თავი ვერ გავრთვა, ვერ შეძლო, ვერ მოერია... მაგ.: „ღედაკაცები ველარ აუღიან საქმეს“ (მიხ. მრევლ.).

ამ თვალსაზრისით გამოთქმა ვერ აუღის იმავე რიგისაა, რაც არ გააჩნია (იხ. გააჩნია), არ მოებოვება, არ მოეძვევება, არ აბადია... მათ მსგავსად, წართქმითი შინაარსის წინადადებებში აუღის, აუვიდა ფორმათა გამოყენებაც სტილისტიკურად არამართებულ შესიტყვებას იძლევა. მაგ.: „ამ ტექნიკით მექანიზატორები აუღიან [უნდა იყოს: თავს ართმევენ, ერევიან, ახერხებენ შეასრულონ, გააკეთონ] მოძალეებულ სამუშაოებს“ („სოფლ. ცხოვრ.“).

აუტანელი; აუტანლად. ვნებითი გვარის მიმღეობის უარყოფითი ფორმის — აუტანელის პირდაპირი მნიშვნელობაა: ის, რაც არ აუტანიათ (მაგალითად, ტვირთი). მაგრამ რეალურად ამ მნიშვნელობით მოცემული მიმღეობა თანამედროვე ქართულში იშვიათად მოიხმარება. უფრო ხშირად ის გადატანითი მნიშვნელობით გამოიყენება: აუტანელი, ანუ რისი ან ვისი ატანაც, გაძლებაც შეუძლებელია. ბუნებრივი ქართული შესიტყვებებია: აუტანელი სიცხე, აუტანელი სიცვი, აუტანელი ცხოვრება, აუტანელი ფიზიკური ტანჯვა, აუტანელი სიჩუმე, აუ-

ტანელი ვითარება, აუტანელი ტკივილი, აუტანელი პიროვნება, აუტანელი ჯაფა, აუტანელი წამება, აუტანელი ხასიათი, აუტანელი კაცი და ა. შ. დასახელებული მიმღეობა შინაარსის თვალსაზრისით განსაკუთრებული ემოციური ეფექტის მქონეა: მისი მონაწილეობით შედგენილ შესიტყვებებს ბუნებრივად ახლავს (უნდა ახლდეს) ერთგვარი უარყოფითი ემოცია. ამიტომ არაბუნებრივია და გაუმართლებელი ამ სიტყვის ხმარება ისეთი არსებითი სახელის მსაზღვრელად, რომელიც გამოირიცხავს ან ძნელად იგუება უარყოფით ნიუანსს, მაგ.: „ეს სიმღერა აუტანელი [აღბათ უნდოდათ ეთქვათ: მეტისმეტი ან უდიდესი] სიტკბოებაა — თქვა შალვამ“ (ეკ. ვაბ.); „ყოველი მისი ფრაზა თუ მონოლოგი ამ აუტანელი საესტრადო ინტონაციითაა [?!] დაღდასმული“ („ლიტ. დახელ.“).

აღნიშნული მიმღეობისაგან ნაწარმოებ აუტანლად ზმნისართსაც განსაკუთრებული ემოციური დატვირთვა აქვს და თანამედროვე ქართულ ენაში მოიხმარება უმეტესად თავისი ძირითადი მნიშვნელობით: აუტანლად, ანუ ისე, როგორც არ შეიძლება აღამიანმა აიტანოს, გაღაიტანოს, გაუძლოს. ამიტომ დასახელებული ზმნისართი ბუნებრივ შესიტყვებებს ქმნის ისეთი მოქმედების გამომხატველ ზმნებთან შეხამებისას, რომელთაც უშუალოდ ახლავს, უკავშირდება ან აღვილად ეგუება უარყოფითი ემოცია. ასეთი ბუნებრივი სინტაგმებია: აუტანლად სტკივა, აუტანლად შია (სწყურია), აუტანლად აწუხებს, აუტანლად სცივა, აუტანლად ექცევა და მისთ. უკანასკნელ ხანს აღნიშნულმა ზმნისართმა თითქოს ახალი ნიუანსი შეიძინა მნიშვნელობის მხრივ და გაუტოლდა ზმნისართებს: ძალიან, მეტისმეტად, ძლიერ... მაგ.: „აუტანლად დაიტვირთა სასკოლო ასაკის ბავშვთა სასწავლო პროგრამებიც“ („თბილ.“). მაგრამ ამგვარი შინაარსის გაღმოსაცემად და დასახელებული ზმნისართების მონაცვლელ აუტანლად ზმნისართის ხმარება ყოველთვის მართებული არ არის, ამას ქვემოთ დამოწმებული წინადადებებიც ადასტურებს: „აუტანლად [უნდა იყოს: მეტისმეტად] მოსწონდა დღეს თავლი“ (გ. გეგეშ.); „აუტანლად [უნდა იყოს: ძალიან] მინდა ხოლმე მაშინ იქ ყოფნა“ („მნათ.“); „აუტანლად [უნდა იყოს: მეტისმეტად] მოუნდა მოჭიდებოდა რაღაცას იმედიანს“ (გ. გეგეშ.)...

აღიგავა მიწისაგან პირისა სახეცვლილი ვარიანტია ძველი ქართულიდან შემორჩენილი ფრაზეოლოგიური შესიტყვებისა — აღიგავა პირისაგან მიწისა, რომელსაც სტილისტიკური მიზნით შედარებით ხშირად იყენებს თანამედროვე ქართული პრესისა და განსაკუთრებით მხატვრული ენა. მაგ.: „გრიგალი მთელ სოფლებს აღგვიდა პირისაგან მიწისა“ („ცისკ.“); „ხელის განძრევაც რომ ვაგებდოთ, მიწის პირისაგან აღგვვიან“ (გრ. აბაშ.); „ქართველთა მოდგმა მიწის პირისაგან აღ-

გვას გადაურჩა“ („ლიტ. საქ.“); „მე და შენ გაერთიანებული ძალით აღვევით პირისაგან მიწისა გულის ავადმყოფობას“ (გ. გოვიჩ.).

არქაული სინტაქსური იერის მიუხედავად, ამ ფრაზეოლოგიზმის შინაარსი საესეებით მარტივი და გამჭვირვალეა, მაგრამ, როგორც ჩანს, ზოგჯერ მას გაუაზრებლად ხმარობენ, რის გამოც უმართებულოდ უკავშირდება ერთმანეთს შესიტყვების წევრები. მაგ.: „მიწისაგან პირისა აღიგავა ღების მაცხოვრის ეკლესია“ („კომ.“); „მაგრამ ხატიანი ერთადერთი სოფელი როდია გერმანელი ფაშისტების მიერ აღვეილი მიწისაგან პირისა“ („კომ.“); „საბჭოთა ხელისუფლებას დამყარების-თანავე დედამიწისაგან პირისა აღვეილ იქნა კაპიტალიზმის ყოველგვარი გაღმონაშთი“ („ჭიათ. მაღ.“); „მიწისაგან პირისა“ არაიშვითად ის-მის სატელევიზიო გადაცემებშიც. ყველგან უნდა იყოს პირისაგან მიწისა და არა მიწისაგან (მით უმეტეს დედამიწისაგან!) პირისა.

ტრადიციულად დამკვიდრებული და შესისხლხორცებული ამგვარი მყარი შესიტყვებების დარღვევას სალიტერატურო ენა ვერ იგუებს.

აღმართავს, აღიმართება ზმნათა გამოყენება უპირატესად მაღალფარდოვანი მეტყველებისთვის არის დამახასიათებელი, იხმარება სხვადასხვა მნიშვნელობით, ძირითადად — ფიგურალურ გამოთქმებში. ბუნებრივი შესიტყვებებია: დროშა აღმართა, კოშკი აღმართა, ჩინური კედელი აღმართა, ძეგლი აღმართეს, თბელისკი აღმართეს, დიდების მემორიალი აღმართეს, მასვილი აღმართა, ხელი აღმართა ვინმეს წინააღმდეგ, საღ კლდესავით აღიმართა...

აღმართავს ზმნის ერთ-ერთი მნიშვნელობაა ააშენებს, ააგებს, დადგამს. ამ მნიშვნელობით თითქოსდა ნეიტრალურ კონტექსტებში გამოყენების დროსაც კი აღმართავს, აღიმართება ზმნური ფორმები ინარჩუნებენ მაღალფარდოვნების ნიუანსს — შესიტყვებას ისეთი საგნების სახელებთან ქმნიან, რომლებსთვისაც სიმალლე და მასშტაბურობა (პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით) ბუნებრივი ატრიბუტებია. მაგ.: „აქ სულ მალე კიდევ ერთი მაღლივი კორპუსი აღიმართება“ („თბილ.“); „უმშვენიერესია ის ბრწყინვალე სახსოვარი, რომელიც აღიმართება ძეგლად მერმისის გულში“ (ილია); „შენსა და ჩემს შორის რა მაღალი კედელი აღუმართავს ბედს?“ (ე. გამს.). კონტექსტებში, რომლებიც მოკლებულია ასეთ სტილისტიკურ შეფერილობას (ქრონიკა, ინფორმაცია...), აღმართეს, აღიმართება ზმნათა გამოყენება მიზანშეწონილი არ არის — აჯობებდა მნიშვნელობის თვალსაზრისით ნეიტრალური ააშენებს, ააგებს, დადგამს: „რამდენჯერ მოუწვევიათ ახალმოსახლეობაზე ზემოქედის საპატიო მცხოვრები! სოფელში სულ ახლახან აღიმართა [უნდა იყოს: აშენდა] კიდევ რამდენიმე სახლი“ („სოფლ. ცხოვრ.“); „ჩელვაჩაურში ბევრი რამ გაკეთდა ბოლო 15

წელიწადში. აღმართა № 5 სამშენებლო ტრესტისა და სახლთსამშენებელი კომბინატის საწარმოები“ („კომ.“). უმართებულო შესიტყვებებია როგორც აღმართა საწარმოები, ასევე კომბინატის საწარმოები. უნდა იყოს: აგებულ იქნა სამშენებლო ტრესტისა და სახლთსამშენებელი კომბინატის შენობები; „გზის მარჯვენა მხარეს შეფენილ ფერდობზე. პატარა, ლამაზი კოტეჯები აღმართა [უნდა იყოს: დაიდგა]“ („თბილ.“). მხატვრულ ნარკვევში შეიძლება: ყურადღებას იქცევს ან თვალს იტაცებს პატარა, ლამაზი კოტეჯები.

აღმოცენდება; აღმოცენება; აღმოცენებული. აღმოცენდება ზმნის ძირითადი მნიშვნელობაა: მიწიდან ამოვა, ამოიზრდება, აღივლდება, იხარებს (მცენარე), მაგრამ როგორც მას, ისე მის საწყისურ და მიძლეობურ ფორმებს (აღმოცენება, აღმოცენებული) დღეს მეორე, გადატანითი მნიშვნელობაც აქვს, სახელდობრ: გაჩნდება, წარმოიქმნება, წარმოიშობა. თუმცა აღნიშნული გადატანითი მნიშვნელობა აუცილებლად მცენარეს აღარ გულისხმობს, მას თავის ძირითად, პირველად მნიშვნელობასთან მაინც არა აქვს მთლიანად გაწყვეტილი სემანტიკური კავშირი. ამას ისიც ადასტურებს, რომ დასახელებული ფორმების ამ შინაარსით გამოყენების შემთხვევაშიც, ცხადია, უკვე არა პირდაპირი მნიშვნელობით, მაგრამ მაინც ხშირად, — ნახსენებია ან ნაგულისხმევი სახელი ნიადაგი: „ახლა ცხადია, თუ რა ნიადაგზე აღმოცენდა პარტიული უთანხმოება“ (ჭეგლ); „გაუგებრობის ნიადაგზე აღმოცენებული უსიამოვნება გაქრა“ (ივ. ჯავახ.); „ბრალდება ვახტანგის გამაზღვრეანების შესახებ იმ ნიადაგზე უნდა ყოფილიყო აღმოცენებული, რომ იგი სპარსეთში იყო ხანგრძლივ“ (ივ. ჯავახ.).

გადატანითი მნიშვნელობით ხმარებისას ზმნა აღმოცენდება და მისგან საწარმოები ფორმები არცთუ ისე ხშირად ქმნის დღევანდელი სალიტერატურო ენისათვის ბუნებრივ შესიტყვებას. ამას უსათუოდ უნდა ვაეწიოს ანგარიში მათი გამოყენებისას და სინტაქსში სიტყვები შეირჩეს არა გარეგნული, მოჩვენებითი გამომსახველობის, არამედ სემანტიკური შესატყვისობის მიხედვით. ამდენად, ამ ფორმების განურჩევლად, ნებისმიერ სახელთან ხმარება არ არის მიზანშეწონილი და გამართლებული, და ხშირად უხერხულ სიტყვათშეხამებებს ქმნის. ასეთია: „მერე კი, როცა სპორტული მოედნები აღმოცენდა [უნდა იყოს: მოეწყო, გაშენდა], ...ფეხბურთის სექციის ხელმძღვანელობა იკისრა“ („ლელო“); „აქ იქვე... ვითომდა „ამაღლებული“ სტილი ისევ და ისევ სახელმძღვანელოებიდან, წიგნებიდან აღმოცენდა [უნდა იყოს: წარმოიშვა, გაჩნდა, მომდინარეობს... წიგნებში შეიქმნა...]“ („ლიტ. საქ.“); „თავის ტკივილის აღმოცენება [უნდა იყოს: დაწყება] გავრცელება, ხასიათი..., განსხვავებულია ერთმანეთისაგან სხვადასხვა

პათოლოგიურ მდგომარეობათა დროს“ („სოფლ. ცხოვრ.“); „განსაკუთრებული სიცხადით იჩენს თავს [მის] რომანებში აღმოცენებული [უნდა იყოს: არსებული, წარმოშობილი, წარმოქმნილი...] ერთგვარობისა და ერთფეროვნების საფრთხე“ („ლიტ. საქ.“); „რამდენ უსიამოვნებას მოგვიტანს ეს უბედურება, ... თუ იგი... ძირიანად არ ამოგვლიჯეთ იქ, სადაც უკვე აღმოცენდა [უნდა იყოს: წარმოიშვა, გაჩნდა...]“ („თბილ.“).

აღქმა — აღთქმა. თანამედროვე ქართულში ხშირად გამოიყენება სიტყვა **აღქმა**. იგი ფსიქოლოგიის ტერმინია და აღნიშნავს ცნობიერებაში ობიექტური სინამდვილის ფაქტების (საგნების, მოვლენების) ასახვის პროცესს. მაგ.: „პარალელური სცენების მთელი სისტემაა ჩართული აქტიურ მოქმედებაში, რაც ასუსტებს მუსიკის აღქმის პროცესს პირველ აქტში და გარკვეულ დისპარმონიას ქმნის“ („კომ.“). ასევე ჩვეულებრივად იქცა გამოთქმები: მხატვრული ნაწარმოების აღქმა, რაიმე დოკუმენტის (დადგენილების, გადაწყვეტილების...) აღქმა.

აღქმა და მისგან ნაწარმოები ზმნური ფორმები (აღიქვა, აღვიქვით) ზოგჯერ გაუაზრებლად გამოიყენება, რასაც გამოავლენს მასთან დაწყვილებული სიტყვა. მაგ.: „სტუდენტებისათვის პირველწყაროებზე დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების გამომუშავება ხელს უწყობს მსმენელთა მიერ პარტიის ისტორიის შესასწავლი კურსის აქტიურ აღქმას, მიღებული ცოდნის მტკიცე მრწამსად გადაქცევას“ („კომ.“); „ჩვენმა კოლექტივმა საქმიანად აღიქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის დეკემბრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის გადაწყვეტილებები“ („კომ.“); „გულით აღვიქვით, საქმით ვუპასუხებთ“ („კომ.“).

თანამედროვე ქართულში ზოგჯერ სიტყვა **აღქმა** ირევა ბევრობრივად მის მსგავს **აღთქმა** სიტყვაში, რომელსაც განსხვავებული სემანტიკა აქვს. **აღთქმა** არის **აღუთქვამს** ზმნის მოქმედების სახელი და აღნიშნავს: დაპირებას, სიტყვის (პირობის) მიცემას, დანაპირებს: „მარტვი, რა იქმნენ საკვირველნი ესე აღთქმანი?“ — ნ. ბარათ.). ამ სიტყვის მონაწილეობით არის შექმნილი გამოთქმები: **აღთქმის ქვეყანა, ახალი აღთქმა, ძველი აღთქმა...** უფრო ჩვეულებრივია პირიანი ფორმების ხმარება („რა ვარგეთ, რას აღუთქვამთ ქვეყანას!“ „თბილ.“ სათ.).

აღრევის მაგალითები: „მკითხველი, რომელიც აზროვნებასაა მიჩვეული და ვინ იტყვის — მე არ მეხებაო, მიხვდება ზემოთქმულს, და კიდევ ის მკითხველი, რომელსაც პოეტური აღთქმის მაღლი აქვს მინიჭებული“ („ლიტ. საქ.“). ცხადია, აქ უნდა ეხმარათ: **პოეტური აღქმის მაღლი**. „აგრე გეგონებოდათ, მღუმარების აღქმა [უნდა: აღთქმა]

დაუდიათო“ („სოფლ. ცხოვრ.“); ეს იმ ადამიანის გულისტკივილია, რომელმაც ჯერ კიდევ ყრობაში დადო **აღქმა** [უხდა: ალქმა], რომ მშობლიურ ადგილებს კვლავ სიცოცხლეს დაუბრუნებდა“ („ახ. კომ.“).

აღქმა და **ალქმა** პარონიმებია. თითოეულ მათგანს თავისი ცნებითი შინაარსი და მოხმარების საკუთარი სფერო აქვს. სალიტერატურო ქართულში მათი აღრევა გაუმართლებელია.

აჩენს — აჩნევს. ამ ზმნებს, მიუხედავად განსხვავებული მნიშვნელობისა და, შესაბამისად, გამოყენების განსხვავებული სფეროებისა, რიგ შემთხვევაში ერთმანეთის ნაცვლად იყენებენ.

აჩენს ზმნა, ჩვეულებრივ, **გა-** (გააჩენს), **გამო-** (გამოაჩენს) და **მი-** (მიუჩენს) ზმნისწინებს დაირთავს, ხოლო **აჩნევს** ზმნის სემანტიკა და (დააჩნევს, დააჩნია, დაუჩნევია) და **მი-** (მიიჩნევს, მიიჩნია, მიუჩნევია) ზმნისწინებს იგუებს. **დააჩნევს** იგივეა, რაც **დაატყობს; კვალს, დაღს, ნაფეხურებს... დააჩნევს** (დაატყობს).

ზოგჯერ **აჩენს** ფორმაა ნახმარი **აჩნევს** ზმნის მნიშვნელობით: „მიდის, მოდის, კვალს არ აჩენს“ (გამოც.). არ აჩენს აქ ნიშნავს: კვალს არ ტოვებს, არ ატყობს. მაგრამ ასეთი შემთხვევები გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს. თანამედროვე სალიტერატურო სიტყვათხმარებაში **აჩენს** და **აჩნევს** ზმნების ფორმათა მოხმარების არეები ძირითადად გარჩეულია: „ამან, ცხადია, კვალი დააჩნია პარტიის მსვლელობას“ („კომ.“); „მათ მნიშვნელოვანი კვალი არ დაუჩნევიათ ჩვენს ცოდნაზე“ (გ. ქიქ.) და მისთ.

ჩვეულებრივ, უზმნისწინო ფორმების აღრევის მეტი საშიშროება არსებობს, მაგრამ ამ ზმნებთან შეინიშნება როგორც უზმნისწინო, ისე ზმნისწინიან ფორმათა აღრევა: „პოლიტიკურ ცხოვრებასაც თავის დაღს აჩენენ [უხდა იყოს: აჩნევენ]“ („ახ. კომ.“); „თავის წერილში ჩამოთვლის იმ დარგებს, რომლებსაც ღრმა კვალი დააჩინა [უხდა იყოს: დააჩნია] გ. წერეთელმა“ („წიგნ. სამყ.“).

დასტურდება პირუკუ შემთხვევებიც, როცა **მიჩენის** ნაცვლად იხმარება **მიჩნევა** ზმნა: „ორიგინალის ნახვა კი ვერც პირველ და ვერც მეორე ჩასვლაზე ვერ მოახერხა. მისთვის საცავში მიეჩინათ [უხდა ყოფილიყო: მიეჩინათ] ბინა“ („ახ. კომ.“).

უხდა გაირჩეს **აჩენს — აჩნევს** ზმნათაგან ნაწარმოები სახელური ფორმებიც. კერძოდ, **აჩენს** ზმნისაგან: **-ჩენა** (გაჩენა, გამოჩენა, მიჩენა), **-ჩენილი** (გაჩენილი, გამოჩენილი, მიჩენილი...); **აჩნევს** ზმნისაგან: **-ჩნევა** (დაჩნევა, მიჩნევა), **-ჩნეული** (დაჩნეული, მიჩნეული).

აჩვენებს, უჩვენებს ზმნათა გამოყენება არამატერიალურის გათვალისწინების, გამოვლენის მნიშვნელობით უმართებულოა. იხ. **გამოავლენს — გამოამუღვენებს — აჩვენებს**.

აჩნევს — აჩნევს. ბგერობრივად მსგავსი ეს ზმნები საერთო ძირისაგან წარმოქმნილად ითვლება, მ- თავსართი კი გაჩენილად ივარაუდება. მათი სემანტიკაც მსგავსია, მაგრამ გამოყენების სფეროები განსხვავებული აქვთ.

აჩნევს, დააჩნევს ნიშნავს: **დაატყობს** (კვალს). **კვალი დააჩნია** = **კვალი დაატყო.**

ამჩნევს ზმნა, ჩვეულებრივ, **შე-** ზმნისწინს იგულებს, **შეამჩნევს** ნიშნავს: დაინახავს, მიხვდება, იგრძნობს, შენიშნავს, შეატყობს. მაგრამ ქველ-ში მითითებულია **ამჩნევს** ფორმის ასეთი მნიშვნელობაც: ანაბეჭდს, კვალს **დააჩნევს** (დატოვებს). მაგ.: „ლოკოკინა! გზაზე... ბრჭყვილა კვალს **ამჩნევდა**“ (თ. რაზიკ.). აქ **კვალს ამჩნევდა** ნიშნავს: **კვალს ტოვებდა.** ამ მნიშვნელობით **ამჩნევს** ზმნისა და მისგან ნაწარმოები ფორმების გამოყენება თანამედროვე ქართულშიც არ არის იშვიათი. გვხვდება ამგვარი შემთხვევები: „ეს ყველაფერი მწერალს მეტწილად, ზომიერად, საჭიროებისამებრ აქვს გამოყენებული და ეკლექტიკურობის დაღს არ **ამჩნევს** ნაწარმოებს“ („ცისკ.“); „მიმღები პუნქტის გამგემ, რომ ვკითხე, სუფრას ლაქები რად **ამჩნევია**-მეთქი, თავაზიანად ამიხსნა“ („საქ. ქალი“); „თოვლსა და მტვერზე ყველა **დაამჩნევს** კვალს ნაფეხურების სახით“ („ცისკ.“); „საზოგადოების საერთო დონეს **ცვლილებას ვერ დაამჩნევს**“ („ლიტ. საქ.“); „სტატუსზე წაგებამ **დადი დაამჩნია** მის სატურნირო მდგომარეობას“ („ახ. კომ.“); „ყინვამ **კვალი ვერ დაამჩნია** ბრიგადის ზვარს“ („ივრ. განთ.“); „მათ ისტორიულ გმირებს აშკარად **ამჩნევიათ** რომანტიული ბურუსი“ (ტ. ტაბ.).

ჩანს, რომ ირევა, ერთი მხრივ, **აჩნევს** და **ამჩნევს** ზმნათა აწმყოს ფორმები მათი დიდი ფონეტიკური მსგავსების გამო; მეორე მხრივ, თუმცა ზმნისწინიან ფორმებში აღრევის საფრთხე იკლებს, **დააჩნია** ფორმის შავიერად გვხვდება -მ-თავსართიანი ფორმა: **დაამჩნია.** ესეც, **ამჩნევს** ზმნასთან დიდი ბგერობრივი და სემანტიკური მსგავსების გამო, პარონიმული აღრევის შედეგია.

ამჩნევს შეიძლება ნიშნაედეს მხოლოდ ამას: **ხედავს, შენიშნავს** (**კვალს ამჩნევს**—**კვალს ხედავს, შენიშნავს**; **კვალი შეამჩნია**—**კვალი დაინახა, შენიშნა**).

დატყობის, კვალის დატოვების, დაღის დასმის მნიშვნელობით უნდა ეიხმართთ მხოლოდ: **კვალს აჩნევს, კვალი დააჩნია.**

აჩნევს ზმნის ფორმებია: **დააჩნევს, დააჩნია, დაუჩნევია;** სტატიკური ფორმა: **აჩნევია||აჩნია;** ნაზმნარი სახელები: **დაჩნევა, დაჩნეული.**

ამჩნევს ზმნის ფორმებია: **შეამჩნევს, შეამჩნია, შეუამჩნევია;** სტა-

ტიკური ფორმა იქნება: ამჩნევია; ნაზმნარი სახელები კი — შემჩნევა, შემჩნეული, შესამჩნევი.

აძლიერებს ზმნას ორგვარი მნიშვნელობა აქვს: 1) ძლიერს, დონიერს ხდის, ძალას მატებს, და 2) ზრდის. თანამედროვე ქართულში ამ ზმნამ გაიფართოვა გამოყენების არე: იგი ვადიდების, გაშლა-გაფართოების, მნიშვნელობასაც იგუებს ზოგ განყენებული შინაარსის სახელთან. მაგალითად, თანამედროვე პრესისა და კრიტიკული ლიტერატურის ენაში საკმაოდ გავრცელდა გამოთქმები: **გრძნობის გაძლიერება, ბრძოლის გაძლიერება, მუშაობის გაძლიერება** (შესაბამისად: გრძნობას აძლიერებს, ბრძოლას აძლიერებს, მუშაობას აძლიერებს და მისთ.); „სიყვარული აძლიერებს წინააღმდეგობის დაურევების გრძნობას“ („კომ.“); „საჭიროა გაძლიერდეს ბრძოლა კონსერვატიზმის... წინააღმდეგ“ („კომ.“); „სამეცნიერო დაწესებულებების უპირველესი ამოცანაა... მათი მუშაობის გაძლიერება“ („კომ.“); „ამ მხრივაც ვცდილობთ მუშაობის გაძლიერებას“ („თბილ.“); „ამ უკანასკნელ ხანებში საქართველოს სსრ სკოლებში მნიშვნელოვნად გაძლიერდა სამხედრო-პატრიოტული მუშაობა“ (სახ. გან.“); „მუშაობა დღითი დღე ძლიერდება, სულ უნდა დაამყნონ ააი ათასი ცალი ნერვა“ („ახ. კომ.“).

სახელები **გრძნობა, ბრძოლა, მუშაობა** და მისთ. ზრდის, ვადიდებისა და გაშლა-გაფართოების ნიუანსს იგუებს, ამიტომ უხერხული აღარ ჩანს ამ რიგის შესიტყვებათა ხმარება, თუმცა იმავე აზრის გამოსახატავად ჩამოთვლილ სახელებთან უფრო ბუნებრივ წყვილს ქმნის ზმნები: **ვადრმავება, ვამძაფრება; ვაჩალება; ვაშლა-ვაფართოება**, შესაბამისად, ქართულისათვის უფრო ბუნებრივია შესიტყვებები: **გრძნობის ვადრმავება//ვამძაფრება; ბრძოლის ვაჩალება (ან ვამძაფრება), მუშაობის ვაშლა-ვაფართოება** და ა. შ.

ზოგჯერ აძლიერებს ზმნა შეუწყობა ისეთ სიტყვებსაც, რომელთა შინაარსი ძალის მატების, ზრდის ან ვადიდების სემანტიკას საერთოდ ვერ იგუებს: „კოლმეურნეობაში დღითი დღე ძლიერდება წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რემონტი [უნდა იყოს: ჩქარდება რემონტი, ან: ინტენსიურად არემონტებენ]“ („კომ.“). მსგავსი მაგალითებია:

„ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს ახალგაზრდობაში ინტერესის გაძლიერებას [სწორია: ვაზრდას]“ („წინსვ.“); „ამ ინტერესს კიდევ უფრო აძლიერებს [სწორია: ზრდის ან აძაფრებს] ნაწარმოების მართი და სურათოვანი ენა“ („ქართ. ლიტ.“); „შრომითი ტემპი დღითი დღე ძლიერდება [სწორია: ჩქარდება]“ („კომ.“); „საშემოდგომო ხვნის ტემპი კიდევ უნდა გააძლიერონ [სწორია: ააჩქარონ] მექანიზატორებმა“ („წინსვ.“); „მწერალი აძლიერებს [სწორია: აძაფრებს]

მკითხველის ზიზღს“ („ქართ. ლიტ.“); „ბიზანტიასთან კავშირი კიდევ უფრო გაძლიერდა [სწორია: განმტკიცდა]“ („ქართ. ლიტ.“); „აკაკი წერეთელი აძლიერებდა [სწორია: სახედა, ნერგავდა, განამტკიცებდა] ხალხში მომავლის იმედს“ („ქართ. ლიტ.“); „ამ იმედს ალბათ მილიციის ფორმაში ჩაცმული კაცის დინჯი და სერიოზული გამომეტყველება აძლიერდება [სწორია: განუმტკიცებდა]“ („კომ.“); „მისი ლექსალური (!) ნიმუშები გვიძლიერებენ საგნებსა და მოვლენებში უკეთ წვდომის უნარს“ („კომ.“). უნარი საზოგადოდ ქმედების შესაძლებლობის სემანტიკის შემცველია; ამიტომ ეს სახელი გაძლიერება-შემცირების შინაარსს ვერ იგუებს. ამ სახელთან შესიტყვებას ქმნის ერთადერთი ზმნა გამოუმუშავებს: უნარს გამოუმუშავებს.

ასეთივე მდარე სიტყვათშეხამების ნიმუშებია ძლიერდება მეგობრობა და ძლიერდება მოტივი. მაგალითად: „ჩვენ პოეზიამ შეგვადუღა და ჩვენი მეგობრობა წლითწლობით სულ უფრო ძლიერდება“ („კომ.“); „მერე თბილისობაზეც მომიწვია ჩემმა მასპინძელმა და ასე გაძლიერდა მეგობრობა“ („კომ.“) [სწორია: მტკიცდება, განმტკიცდა მეგობრობა]. „ბრძოლის მოტივი ი. ევლოშვილის პოეზიაში უფრო ძლიერდება“ („ქართ. ლიტ.“). ამ კონტექსტში საუბარია პოეტის საბრძოლო განწყობილების აშკარად გამოვლენის შესახებ. შესიტყვების რომელიმე წევრის შეცვლა აქ აზრს ვერ გამართავს.

ქართულისათვის უჩვეულოა ასევე აძლიერებს ზმნის დაკავშირება ნაზმნარ სახელებთან. ამის ნიმუშებიც დასტურდება თანამედროვე ქართულში, — განსაკუთრებით, პრესასა და სასკოლო სახელმძღვანელოებში: „გაძლიერდა პესიმისტურ განწყობილებათა ასახვა“ („ქართ. ლიტ.“); „გაძლიერდეს... მეცხოველეობის განვითარებისა და საკვები ბაზის განმტკიცების შესახებ მაღალ მეცნიერულ დონეზე დამუშავებული მასალების გამოქვეყნება“ („საქ. სახ. მეურნ.“); „ამ მოსაზრებას ის გარემოებაც აძლიერებს, რომ მონასტრის წიგნებში მართლაც არის მოხსენიებული ვინმე „მეჭურჭლეუთხუცესი“ შოთა“ („ქართ. ლიტ.“); „პატრიოტული უღერა გააძლიერა... ლექსების გამოქვეყნებამ“ („ქართ. ლიტ.“); „მეცნიერება და ხალხური შემოქმედება... ქართველი ერის სულიერ წინსვლას გააძლიერებენ და ახალ სიმაღლეზე აიყვანენ“ („კომ.“); „...გააძლიერონ პირუტყვისა და ფრინველის მოვლა-კვება“ („გამარჯვ. გზა“); „ეაშინგტონი აძლიერებს თავის სამხედრო ყოფნას...“ („თბილ.“); „გავაძლიეროთ მზადება“ (რუბრიკა — „კომ.“). „ბავშვი რომ ჯანმრთელი იყოს, საჭიროა მშობლებმა გააძლიერონ მისი ბუნებრივი გამძლეობა ინფექციებისადმი“ („კომ.“).

ხაზგასმული სინტაგმების რომელიმე წევრის შეცვლით სათქმელის აზრი ვერ გაიმართება, საჭიროა მთელი ფრაზის სხვაგვარად აგე-

ბა, ვთქვათ, ასე: უმეტესად პესიმისტური განწყობილება აისახება; უფრო მეტი მასალა ქვეყნდებოდეს საკვები ბაზის განმტკიცების შესახებ; ამ მოსაზრებას კიდევ უფრო განამტკიცებს ისიც...; პატრიოტული გრძნობა გააღვივა // გაამძაფრა; ...ქართველი ერის სულიერ წინსვლას და ახალ სიმაღლეზე აყვანას შეუწყობს ხელს; გააუმჯობესონ მოვლაკვება; ...განამტკიცებს... თავის სამხედრო ძალებს...; დაეაჩქაროთ მზადება, სწრაფი ტემპით მოვემზადოთ...; გამოუმუშაონ მას ბუნებრივი გამძლეობა...

აწარმოებს, წარმოებს; წარმოება. აწარმოებს ზმნის ძირითადი მნიშვნელობაა: ეწევა, უძღვება რაიმე საქმიანობას // მიჰყავს, წარმართავს რაიმე საქმეს. ამის მიხედვით ქართულისათვის ბუნებრივია: აწარმოებს დაკვირვებას, გამოძიებას, მიწერ-მოწერას, მოლაპარაკებას, გათხრებს, აღებ-მიცემას და ა. შ.: „მთელს სსრ კავშირში მეცნიერები გათხრებს აწარმოებენ“ („საბჭ. კავშ. ისტ.“); „ჩვენს წინაპრებს აღებ-მიცემა უწარმოებიათ შორეულ მხარეებთან“ („საქ. ისტ.“)... ამავე მნიშვნელობით გამოიყენება ენაში გარდაუვალი ზმნა წარმოებს და მოქმედების სახელი წარმოება: „საოჯახო საქმეები... ძველებურად მოურავის ხელით წარმოებდა“ (ეკ. გაბ.); „ამის დასამტკიცებლად... საქირთული ანთროპოლოგიური კვლევა-ძიების წარმოება“ (გ. ქიქ.)... მაგრამ ამ ბოლო დროს როგორც ზმნებმა — აწარმოებს, წარმოებს, ისე სათანადო მოქმედების სახელმა წარმოებამ გაიფართოვეს მოხმარების არე და სხვა შემთხვევებშიც გამოიყენებან.

1. აწარმოებს ყურძენს. წარმოება პირუტყვისა. ხშირად, განსაკუთრებით პრესის ენაში, ზმნა აწარმოებს ერთგვარ შტამბად არის ქცეული და წინადადებაში უმართებულოდ ენაცვლება ამა თუ იმ სახელისათვის სემანტიკურად უფრო შესაფერის ზმნებს. მაგ.: „3000-ის ნაცვლად 4500 ცენტნერი ბოსტნეული ვაწარმოეთ [უმჯობესია: მოვიყვანეთ]“ („განთ.“ ვანი); „წლიური გეგმით 109 ათასი ცალი კვირცხი უნდა გვეწარმოებინა [უმჯობესია: უნდა დაგვემზადებინა]“ („ლენ. გზით“); „ათ თვეში აწარმოეს [უმჯობესია: ჩამოწველეს] 3133 ცენტნერი რძე“ („კომ.“). შდრ.: „ერთი თვის მანძილზე ჩამოვწველეთ 20 ტონამდე რძე“ („განთ.“, ვანი). „მათ გადაწყვიტეს გაცილებით მეტი ყურძენი აწარმოონ [უმჯობესია: მოკრიფონ]“ („სოფლ. ცხოვრ.“). შდრ.: „[მან]... 0,5 ჰექტარი ნაკვეთიდან 3000 კგ ყურძენი მოკრიფა“ („განთ.“, ვანი). „წლითიწლობით აღამიანებმა უნდა აწარმოონ სურსათი, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, საცხოვრებელი ბინები [უნდა იყოს: უნდა დაამზადონ სურსათი, გამოუმუშან ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ააშენონ, კეთილმოაწყონ საცხოვრებელი ბინები]“ („საზოგად.“)...

4. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, VII

ზოგჯერ სემანტიკურად გაუმართლებელ შესიტყვებებს ქმნის აგრეთვე მოქმედების სახელი წარმოება. ბოლო ხანებში, ოგორც ჩანს, ქვეყნის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მასშტაბურობისა და სამეურნეო პროდუქტების დიდი რაოდენობით დამზადებასთან დაკავშირებით ამ სიტყვამ შეიძინა ახალი მნიშვნელობა — სასოფლო-სამეურნეო, მესაქონლეობისა და მისთ. პროდუქტების შექმნის, დამზადების მნიშვნელობა. ამიტომ დღევანდელი ქართულისათვის უცხო აღიარაა გამოთქმები: რძის წარმოება, კვერცხის წარმოება, ხორცის წარმოება, თამბაქოს წარმოება, მარცვლეულის წარმოება და სხვ., მაგრამ მათ გვერდით ენაში გვხვდება ამ სახელის მონაწილეობით შედგენილი ისეთი შესიტყვებებიც, რომელთაც არავითარი გამართლება არა აქვთ. მაგ.: „ქართული ფუტკრის მასობრივ წარმოებას [უნდა იყოს: მოშენებას]... მსოფლიო მნიშვნელობა აქვს“ („სოფლ. ცხოვრ.“); „ჯიშინი ცხენების წარმოება [უნდა იყოს: მოშენება] მათში მეორეხარისხოვან საქმედ არის ქცეული“ („სოფლ. ცხოვრ.“); „რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობიდან 1968 წლიდან ამოღებულ იქნა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის წარმოება [უნდა იყოს: მოშენება]“ („საქ. კომ.“). შდრ.: „მეგრელები შინაური პირუტყვის მოშენებასაც მისდევენ“ (ი. გოგებ.). „საქართველოს მევენახეობის განვითარების ტემპს ნამყენი ვაზის წარმოება [უნდა იყოს: გაშენება] განსაზღვრავს“ („სოფლ. ცხოვრ.“). შდრ.: „ვენახისა და ხეხილის გაშენება... დიდ გარჯას... თხოულობს“ (ილია).

2. აწარმოებს დაჯილდოებას; წარმოებს მომზადება... თანამედროვე ქართულში, განსაკუთრებით ამ ბოლო დროს, მომრავლდა სახელურ-ზმნური შესიტყვებები, რომლებშიც ზმნები აწარმოებს, წარმოებს დაკავშირებულია საწყისის ფორმებთან. ამ სახის სიტყვათშენაშენებებში, ჩვეულებრივ, ზმნა შინაარსისაგან დაცლილია და მხოლოდ დამხმარე როლს ასრულებს, ხოლო სემანტიკური ფუნქცია მთლიანად საწყისს (ან მნიშვნელობით მასთან ახლოს მდგომ სახელს) ეკისრება. ასეთებია: აწარმოებს აღებას, აწარმოებს გამოზიდვას, წარმოებს გაყიდვა, წარმოებს გაცემა და სხვ. აღნიშნული ტიპის გამოთქმები, უპირატესად, ოფიციალური და წიგნური მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი და მათი შენაცვლება, ძირითადად, ადვილად ხერხდება შესატყვისი მარტივი ზმნებით (აწარმოებს აღებას — იღებს, წარმოებს მომზადება — მზადდება...). ზოგჯერ აღწერიითი ფორმების გამოყენება ენისათვის კანონზომიერი და გამართლებულია. მაგალითად, როდესაც მათ, შესატყვისი ზმნებთან შედარებით, დამატებითი, განსხვავებული აზრობრივი ნიუანსი აქვთ (ვთქვათ, რაიმე საქმიანობის პროცესს, მიმდინარეობას აღნიშნავენ), ან მსაზღვრელი ახლავთ, რომლის შეცვლაც

ზმნისართით ყოველთვის ვერ ხერხდება და სხვ., მაგრამ უმეტეს შემთხვევაში სახელურ-ზმნური შესიტყვებები (განსაკუთრებით, რომლებშიც გარდამავალი აწარმოებს ზმნა მონაწილეობს) ენაცვლება ქართული სათავის უფრო ბუნებრივ მარტივ ზმნა-შემასმენლებს, რაც სტილისტიკურად მიუღებელია.

ამიტომ სწორმეტყველების თვალსაზრისით დასახვეწია შემდეგი წინადადებები: „მეორე საკითხი, რომელზედაც საუბარი მინდა ვაწარმოო [უნდა იყოს: მინდა ვისაუბრო] არის 'შემდეგი'“ (ტელეგად.); „აუცილებელია, ტყის განახლებული უბნებიდან ხე-ტყის გამოწიფვა-სატრაქტორო გზამდე ვაწარმოოთ [უნდა იყოს: ხე-ტყე სატრაქტორო გზამდე გამოვზიდოთ]... გამწევი ძალით“ („საქ. ბუნ.“); „დაჯილდობას აწარმოებს [უნდა იყოს: აჯილდოებს] სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო“ („კოლმ.“); „ჯიშოანი სიმინდის თესლის გამოყვანას სამი კოლმეურნეობა აწარმოებს [უნდა იყოს: სიმინდის თესლი სამ კოლმეურნეობას გამოჰყავს]“ („გამარჯვ. გზა“); „უკვე რამოდენიმე დღეა [ისინი] აწარმოებენ თამბაქოს მოსავლის აღებას [უნდა იყოს: იღებენ თამბაქოს მოსავალს]“ („გამარჯვ. დროშა“); „აქვე უხვადაა მლაშე წყლები, საიდანაც ძველად ხელოვნურად აწარმოებდნენ მარილის მიღებას [უნდა იყოს: იღებდნენ მარილს]“ („საქ. ბუნ.“); „კერძების მომზადება წარმოებს [უმჯობესია: კერძები მზადდება] გამოცდილი კულინარების ხელმძღვანელობით“ („თბილ.“); „ლატარიის ბილეთით ყველა მარკის ავტომანქანების გაცემა წარმოებს [უმჯობესია: ავტომანქანები გაიცემა] მხოლოდ ქ. თბილისში“ („კომ.“); „იწარმოებს კერძების გაცემა [უმჯობესია: კერძები გაიცემა] საბლში წასაღებად“ („თბილ.“); „რესპუბლიკის სსსტუმროებში... იწარმოებს თვითმფრინავის ბილეთების გაყიდვა [უმჯობესია: გაიყიდება ბილეთები]“ („ახ. კომ.“).

ბ

ბაზარიში/ბაზარზე. ა) ბაზარი ერთი გავრცელებული და ყველასათვის ცნობილი მნიშვნელობით არის სურსათ-სანოვაგისა და ფართო მოხმარების საგნებით ვაჭრობისათვის განკუთვნილი ადგილი (ჩვეულებრივ, მოედანი). მაგ.: საკოლმეურნეო ბაზარი, დახურული ბაზარი... ბაზარი ბაზრის ტერიტორიაზე გამართული ვაჭრობის მნიშვნელობითაც იხმარება. მაგ.: დღეს კარგი ბაზარი იყო.